# ცისკარი.

**1869**

მ ა ი ს ი .

წელიწადი მეცამეტე

წიგნება თხზულებათა:


1, წიგნი, მოწერილი აზიის ოსმალეთის სამზღვრით ფოც-ხოვის საზაქოთგან. ივ. კერესელიძისა.

2, საქართჳელოს შეერთება რუსეთთან, თ. ლეონიდ ბა-რათაშვლისა.

3, ვარძიის მონასტერი (მესხეთში, ლექსი) ივ. კერესელიძისა.

4, ბიძიას. (ლექსი) ალ. აკოფოვისა.

5, გემდური (ლექსი) მისივე.

6, ჩემი ქმარი სხუას ირთავს [კომედია) იოსებ ელიოზოვისა.

7, ორიოდე სიტყვა ახალციხის უეზდის შკოლებზედ, აზიის ოსმალეთში მოგზაურისა.

8, სოფლის სცენა. კონსტანტინე ბერძენოვისა.


---


ტ ფ ი ლ ი ს

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## შეერთება საქართველოსი რუსეთთან.

კნორინგის ჰაზრი საქართველოს შინაგანისა და გარეულს მდგომარეობაზედ,—ღოსუდარსტვენნის სოვეტის სჯა, 8 აგვისტოს 1801წ.—ჰაზრი იმისის წევრებისა (ჩლენე-ბისა) საქართველოს რუსეთთან შეერთების საგანზედა.—მანიფესტი საქართველოს შეერთებისა—შინაგანი მმართვის დებულება.

დავით ბატონისშვლი რუსეთის წარმოგზავნილებს, კნორინგსა და ლაზარევს ამტყუნებდა თავისუფლებაში და შეიწროებაში და თითონ ლეკებსა და ახლო მომიჯნავე ხანებს სთხოვდა, რომ საქართველოს წინაღმდეგობა ექმნათ, მაშინ, როდესაც თითონ მეფობა უნდოდა.

ბატონისშვლის მეგულიანება და თხოვნა უნაყოფოთ არ დარჩა, ბევრი ცუდი რამ დამართა საცოდავს ქართველებს, რომელთაც შეწუხება არ აკლდათ როგორც თავიანთთაგან, აგრეთვე მეზობლებისაგანაცა და პირველი მტერთაგანი შეიძლება ვთქვათ, რომ იყო ერევნის ხანი.

ერევნის ხანის მოქმედება რუსეთთან საკვირველი იყო: ხან იმპერატორის საფარეელს ეძებდა და თავისს ელჩებსა გზავნიდა მოსალაპარაკებლად ამ საგანზედა და ხან კიდევ საქართველოს მტრობდა, მაშინ როდესაც იცოდა რომ საქართველო რუსეთის საფარეელს ქვეშ იყო

საქმეთ გამოიყენა, ცალის მხრით, ასე ვსთქვათ, საქარ-

## შეერთება საქართუელოსი რუსეთთან.

კნორინგის ჰაზრი საქართუელოს შინაგანისა და გარეულს მდგომარეობაზედ,—დოსუდარსტვენნის სოვეტის სჯა, 8 აგვისტოს 1801წ.—ჰაზრი იმისის წევრებისა (ჩლენებისა) საქართუელოს რუსეთთან შეერთების საგანზედა.—მანიფესტი საქართუელოს შაერთებისა—შინაგანი მმართვის დებულება.

დავით ბატონიშვილი რუსეთის წარმოგზავნილებს, კნორინგსა და ლაზარევს ამტყუნებდა თავისუფლებაში და შეიწროებაშია და თითონ ლეკებსა და ახლო მომიჯნავე ხანებს სთხოვდა, რომ საქართუელოს წინაალმდეგობა ექმნათ, მაშინ, როდესაც თითონ მეფობა უნდოდა.

ბატონიშვილის მეგულიანება და თხოვნა უნაყოფოთ არ დარჩა, ბევრი ცუდი რამ დამართა საცოდავს ქართუელებს, რომელთაც შეწუხება არ აკლდათ როგორც თავიანთთაგან, აგრეთვე მეზობლებისაგანაცა და პირუელი მტერთაგანი შეიძლება ვთქუათ, რომ იყო ერევნის ხანი.

ერევნის ხანის მოქმედება რუსეთთან საკვირველი იყო: ხან იმპერატორის საფარველს ეძებდა და თავისს ელჩებსა გზავნიდა მოსალაპარაკებლად ამ საგანზედა და ხან კიდევ საქართუელოს მტრობდა, მაშინ როდესაც იცოდა რომ საქართუელო რუსეთის საფარველს ქვეშ იყო

საქმეთ გამოიყენა, ცალის მხრით, ასე ვსთქუათ, საქარ-

თუელოს საქმო მდგომარეობამა და მეორეცა რომ ბატონისშვილები აგულიანებდნენ, ამის მიზეზით დაიბარა იმ ერევნის ხანმა თავისთან ბამბაკის ალალარები და ქევხები და იმათ უბრძანა რომ იმისნი მოყმენი და მხლებელნი გამხდარიყვნენ. ისინიც თანახმანი შეიქმნენ ერევნის მაჰმადხანის ბრძანებისა. შემდეგ ამისა ერევნის ხანმა გამოგზავნა ბამბაკელებთან 400 კაცი ერევნელები და თავის საბრძანებელში გაიყუანა 14 სოფელი, რომელიც იყო 600 სულამდისინ თავიანთის ალალარებითა.

ბამბაკელების გაქცევის მიზეზი ის იყო, რომ მოურავი თავადი ორბელიანი აწუხებდა, რომელიც განაგებდა განსვენებულის მეფის სიმამრის მაგიერათა, რადგან ის თავადი ციცისშვილი პეტერბურღში იყო.

ლაზარევმა რომ შეიტყო ეს ბამბაკის არეულება, მაშინვე ერევნის ხანს მისწერა, რომ იმას ამ გვარის მოქმედებისთვს თავი დაენებებინა. მაგრამ რადგან იმედი არა ჰქონდა, რომ იმის ამ მიწერილობას რამ გაერიგებინა, თითონ წავიდა ტფილისიდამ (30 ივლისს) ერთის ბატალიონით თავისის სახელის ეგერის პოლკითა, ბატალიონით მუშკატერის გენერალ-მაიორის ლეონტიევის 1-ს პოლკითა, სამის მსუბუქის ზარბაზნითა 19-ს ეგერის პოლკისა, 100 ყაზახითა და რამდენიმე ასის (500-სინ) ქართუელებითა, ერთის ქართულის ზარბაზნითა, სარდალის თავადი ივანე ორბელიანის ხელ ქვემოთი.

ერევნისა და ნახჩევნის ხანები და იმათნი უწარჩინებულესნი კაცნი, შეიყარნენ ერთად როდესაც შეიტყეს ამ ჯარის წასვლა და ბაასი ჰქონდათ, რომ შესაძლისი არ არის ქრისტიანნი მაჰმედიანთ მბრძანებელნი იყვნენო და ამისათვს საჭირო არის რომ ბამბაკელები რუსების ხელიდამ ვიხსნათ და ამისათვს ჯარი მოვაგროვოთო.

თუმცა ამ ჰაზრზედ ყველანი ერთობ თანახმანი იყვნენ, მაგრამ ერევნის მაჰმადხანმა მაინც თავისათვს სამჯობინოთ სცნა, რომ ჯერ ლაზარევისათვს ამ საგანზედ ლაპარაკი დაეწყო და თუ შესაძლისი ყოფილიყო საქმე მშვდობით დაესრულებინა.

იმან კაცი გამოუგზავნა ლაზარევს და შემოუთვალა, რომ ბამბაკის მაზრა ჩემი არისო ალამახჰმედხანის ფარვანიცა მაქვსო იმაზედ, რომ საქართველო როცა აიღო ბამბაკი მე მომცაო და ამისათვს მე უნდა ჩავიბაროო.

— ხანს არა სურს რუსეთთან უსიამოვნოთ ყოფნა — სთქვა ერევნის ხანისაგან გამოგზავნილმა — ის კელმწიფე იმპერატორის საფარველსაც ეძიებს, არამც თუ იმის წინააღმდეგობასა და გთხოვსთ, რომ ბამბაკის მაზრისათვს ომი არ დაუწყოთ. იმპერატორისათვს უკეთესია რომ თითონ ხანი ჰყვანდეს ქვეშევრდომათა, მინამ ბამბაკის მაზრა.

ლაზარევმა სთხოვა: უთხარით ხანსაო, რომ მე მოვალე ვარ საქართველოს მცხოვრებნი მშვდობით დავიცვაო და ამისათვს მოვლივარ სამძღვარზედ იმისათვს, რომ ხანმა

თავისს განძრახვას თავი დაანებოსო.

რომ მივიდა ლაზარევი ბამბაკში და ნახა ხალხი მართლა ხანის შიშით აყრილიყვნენ, გაუგზავნა იმათ წერილი და დაიბარა, დაემუქრა კიდეც, რომ ვინც თავისის ნებით ეხლავე ბინაზედ არ დაბრუნდებაო, იმას სასტიკად გადა-ხდებაო.

მაშინვე ხუთი სოფლის ხალხი უკან დაბრუნდნენ. იმი-სათვს რომ უფრო გული მისცემოდათ ლაზარევი ჯარით გადავიდა ერევნის სამძღვარსა. აქ მოუვიდა ლაზარევს მაჰმედ-ხანისაგან მეორე კაცი, ამბითა და პირობითა, რომ ხანს რუსეთის წინააღმდეგობა არა სურსო. თავადი თარხნის შვილი გაგზავნა ხანთან ერევანში, იმისათვს რომ რაც და-ნარჩენი ალალარები ჰყვანდნენ იქ ერევანშია უკან დაებრუნე-ბინა ხანსა. ერევნის ხანმა მაშინვე გაანთავისუფლა დატუსა-ღებულები და თარხნისშვილს უთხრა: ალა მაჰმედ ხანის ფერ-ვანის ძალითაც ჩემია ბამბაკიო და ბატონის შვილებმაც მემა-გულიანესო იმის დაჭერაზედაო.

მართალი არის, დავით ბატონისშვილმა შეატყობინა ხანსა, რომ იმაზედ მიდიოდა საომრათ 400 კაცი რუსის ჯარი და ურჩევდა რომ ბამბაკი რუსებისათვს არ დაენებებინა, ამიტომ რომ იმან დაუთმო ხანსა. ბატონისშვილმა შეემწეობა სთხო-ვა ხანსა, რომ სამეფო დაეპირა, დაჰპირდა კიდეც ეძლია ის ხარჯი ხანისათვსა, რასაც წინათ ხანი საქართველოს მეფეებს ეძლევდა: აგრეთვე ვახტანგმა, იულონმა და ალექსანდრე

ბატონიშვილებმა სთხოვეს შემწეობა რომ საქართველო რუსის ხელიდამ განთავისუფლებულიყო. ერევნიდამ სომხის არხიეპისკოპოზი გრიგოლ მოვიდა და იმანაცა სთქვა, რომ ეს მიწერ-მოწერა მე თითონა ვნახეო. მაჰმედხანმა მიჩვენა ბატონიშვილების წიგნებიო.

ბატონიშვილები ჰპირდებოდნენ ხანსა, თუ რუსეთს წინააღმდეგობას დაუწყებთო, იმერეთიდამ შემწეობა მოგვეცემაო; იულონ და ალექსანდრე ახალციხის შარიფ—ფაშასთან შეერთდნენო და იმერეთის მეფესთანაო; ცალის მხრით ისინი იქნებიანო და მეორის მხრით ლეკები დაეცემიანო.

დავით ბატონიშვილი ხანს ურჩევდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობა არ მოენდომებინა.

— შენ ხედავ რას უშვრებიან საქართველოსა, შენც ამ სახით გაგაგდე შენ, უთხრა ხანს ბატონიშვილისაგან გიგზავნილმა კაცმა.

თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ რუსის ჯარის ახლოობის შიშისაგან ხანმა კიდევ გამოუგზავნა ლაზარევს კაცი და შემოუთვალაო, ოღონდა თავი დამანებეთო და ბამბაკთან მე კელი აღარ მექნებაო.

მაშინ ლაზარევმა ყარაქლისში დააყენა ბატალიონი მუშკატერისა, როტა ეგერი, არტელლერია და ყაზახები და თითონ ბორჩალოზედა და ყაზახზედ ტფილისში დაბრუნდა. ჯერ მინამდისინ დაბრუნდებოდა ყაზახელების ჯარი გაატანა თავადთ ჭავჭავაძესა და სოლომან ავალიშვილსა რომ შამბა-

და ლეკები შეაშინებინათ და თავის ბინაზედ დარჩენილიყვნენ და განჯის ხანისათჳს არ გაეგონებინათ და არ გადასახლებულიყვნენ იქა.

ახალციხის მხრიდანაც საქართველოს სამზღვარი ირ იყო გამაგრებული, საბუდ-ფაშა ახალციხისა, რომელსაც რუსების მხარი ეჭირა და ლეკსა და ოსმალს საქართველოში შემოსვლის ნებას არ აძლევდა სათულაოთა და საავაზაკოთა, მარტში 1801წ. თავისმა ნათესავმა შერიფ ფაშამ ახალციხიდამ გააგდო.

საბუდ-ფაშა წავიდა აზრუმში და იქ აზრუმისა და ჩალდირის ფაშობა მიიღო.

საბუდ-ფაშას, შერიფ-ფაშის გაგდება უნდოდა ახალციხიდამა და ამისათჳს დავით ბატონიშვილსა სთხოვა შემწეობა, იმანაც საქართველოდამ ყაზახელები გაუგზავნა და იმათ მეუფროსეთაც მელიქი აბოვე გაგზავნა.

კნორინგმა რომ შეიტყო ეს ამბავი, მაშინვე უბრძანა ამ საქართველოს ჯარის უკან დაბრუნება და დავით ბატონიშვილსაც მოსწერა, ოსმალების საქმეში ნუ გაერევიო.

საბუდ-ფაშას ეს შემწეობა რომ მოემალა, ლაზარევის ნახვა მოინდომა და 11 ივლისს ნახა.

დარწმუნება დაუწყო, რომ ის რუსეთის ერთგული ყოველთჳს იქნებოდა, ამასთან სულთნის ფარვანიც უჩვენა, რომლითაც ნაბძანები ჰქონდა რომ შარიფ ფაშის თავი გაეგზავნა. საბუდ ფაშამ სთხოვა ლაზარევსა, რომ იმას რუ-

სის ჯარით შემწეობა მიეცა იმისათვსა და იმითი ოსმალის სახელმწიფოსთვისაც პატივისცემა ეჩვენებინა, რადგან რომ რუსეთი და ოსმალო დაკავშირებულები იყვნენ, ერთმანეთთანა.

## 12

კნორინგი ოცდა ორი დღე იყო საქართველოში.

**15**-ს ივნისს ლინიაზედ იყო და პეტერბურგში წასასვლელად ემზადებოდა.

იმისის აზრით, საქართველოს შინაგანი და გარეული მდგომარეობა ისეთი იყო, რომ მარტო თავისის ძალით არ შეეძლო წინააღმდეგობა, არც სპარსეთისა და ვერც გარეშე შემოხვეულის მთის ხალხის დაცემას მოიგერებდა.

შემდეგ ალამაჰმადხანისაგან აკლებისა, საქართველო ასეთი ულონო იყო, რომ **61000** კომლიდამ, რომელსაც ანგარიშობდნენ აკლებამდისინ, დარჩენილიყო ძლივსღა **35,000** კომლი.

არ შეიძლებოდა, რომ რუსეთის მმართებლობას ყურადღება არ მიექცია საქართველოს მტრების მოქმედებისათვსა.

სამეფო იყო აღმოსავლეთით ავარელებამდისინ, ლეკებამდისინ და სხუათა დაღისტნის ხალხამდისინ, დასავლეთით იმიჯნებოდა ოსმალოს საბრძანებელთა და იმერეთით; სამხრეთით განჯისა და ერევნის ხანების საბრძანებლებითა; ჩრდილოეთით შემოხვეული ჰქონდა სხუა და სხუა კავკაზიის მთის ხალხი, მოსამძღვრები რუსეთის კავკაზიის ლინიისა.

ჩრდილოეთის მხრიდამ საქართუელოს დიდი შიში არა ჰქონდა; მაგრამ აღმოსავლეთიდამ და სამხრეთიდამ წამ და უწუმ მტერი დაეცემოდა ხოლმე, დაღისტნის ხალხი და განჯის ხანი. ეს ხანი შამშადილის მაზრას ითვსებდა, რომელიც საქართუელოს მოეპოვენა ადრევე თავისის თოფ-იარაღითა. საქართუელოსათვს სავნებელი იყო ავარელებისა და ლეკების სიმრავლე. ეს ხალხი ცარცვითა და ავაზაკობითა სცხოვრებდნენ, ყოველთვს ომობდნენ სხვის გულისათვს, ვინც ჯამაგირს მისცემდა და ან იმ იმედით რომ იშოვნიდნენ რასმე დაელასა, ხშირათ მრავალნი შემოცვივდებოდნენ ხოლმე საქართუელოში, მეტადრე უფრო იმიტომ რომ სამძღვრები გაშლილი იყო და არა უშლიდათ რა, რადგან მთები და ტყეები აქუს საქართუელოსა, მზათ ჯარი კი არა ჰყვანდა, ამითი უფრო ეადვილებოდათ ქურდულად დაცემა ლეკებსა. სოფლის მცხოვრებთ უნდა გაელლალათ ის შემოცვივენული ხალხი და იარაღი კი რიგიანი არა ჰქონდათ. განჯის მხრითაც საქართუელოში შემოსვლა

ადვილი იყო და არა უმლიდარა. ყიზილბაშებისათჳსაც ასეთი ადვილი იყო მოსვლა საქართუელოში, რომ ერთს დღეს განჯიდამ შესაძლისი იყო ტფილისთან მოსულიყო. ყიზი-ლბაშების პირველი წინამძღვარი ანუ ბელადი განჯის ხანი აყო, ალამამაჰმედხანმაც საქართუელო რომ აიკლო, ის განჯის ხანი იყო იმისი წინამძღოლში·

ოსმალები თუმცა თითონ არ შემოჰბედავდნენ ხოლმე, მაგრამ მოსამძღვრე ფაშებს, რომელიც მემკვიდრეობით იყ-ვნენ, თავიანთი საკუთარი მუდმისი ჯარი ჰყვანდათ და ამ ჯარის შესავსებათ ლეკები ჰყვანდათ ნაქირავებელი და სხუა ხალხიცა მთისა, ისინი თავიანთის მოუსვენარის და შეუ-პოვარის თვისებით ახალციხის მხრიდამ დაეცემოდნენ ხოლმე, ქართლსა და სოფლებს იკლებდნენ. ამათ მოსაგერებლად საქართუელოს თავისის მოძმე იმერეთის იმედიც კი არა ჰქონდა, ამიტომ რომ ის მტრობასა და ზიანს უმეტესს უშვრებოდა, მინამ სიკეთესა. იმერლების მოქმედება ალამაჰმედ-ხანის შემოსვლის დროს, რომელიც დასაწყისში დაიწერა, ამტკიცებს იმათ ერთგულობას.

მარტოკა ქართუელებს კი არ შეეძლოთ მტრის პასუხის მიცემა. ხალხი მეტის მეტს შონებაში იყო კეთილშობილ-თაგან, რომელიც მხოლოდ თავის სარგებლობას ეძებდა. უმეტესი ნაწილი თავად აზნაურების გადაკიდებულები იყვნენ ერთმანეთზედა და ორს ნაწილად იყვნენ გაყოფილნი· ამათნი მოთავეენი და წინაამდგომნი იულონ და დავით ბატონის-

შვილები იყვნენ და როგორც ეტყობოდა იულონის მხარეს
უფრო ბევრნი იყვნენ. არც ერთს მხარეს არ უნდოდა დათ-
მობა და თუ ეინიცობა იყო ერთი რომელიმე მიიღებდა
საქართველოს მეფობას, სისხლის ღვრა და ეაება უნდა
მომხდარიყო, ასე რომ ძმა ძმის სისხლში უნდა დანთქო-
ბილიყო და შემდეგ ამისთანის უბედურებისა უნდა შემდგა-
რიყო მხოლოდ ერთი ჩრდილი თავისუფალის სამეფოსი,
ისიც იმისათვს, რომ ან სპარსებს დაემორჩილებინათ და ან
ავაზაკს ლეკებს გაეცარცვათ.

რასაკვრველი არის რომ წინათ დამნახვეთ, საქართველ
ლოს ხალხის თავადთ დიდი ხანი იქო სურდათ ამ სამე-
ფოს მიცემა რუსეთის საფარველს ქვეშა. პირველად ირა-
კლი მეორემ ჲაინახა თავისი სამეფოს სრული დაცემა. იმანა
სთხოვა ისევ ეკატირინე 2-ს მიეცა და ღრაფი ლუდოვი-
ჩი ენახა მოსალაპარაკებლათა საქართველოს საქმეებზედა და
რუსეთის სარგებლობაზედ. ალამჰმედხანის მოსვლა დაშალა
იმათი ერთმანეთის ნახვა. ირაკლი 2-ს მემკვიდრემ, იმისმა
შვილმა გიორგიმაცა სცნა საუკეთესოთ, თავისი მამის ჰაზრი
და სურვილი, ამიტომ რომ კარგად იცოდა მდგომარეობა
სამეფოსი, ხასიათი ხალხისა და უსიმოვნობა და წინააღმ-
დეგობაები ყენის სახლობისა. ამ მიზეზების გამო და რომ
საერთო მშვდობა დაეცვა და თავისის ძმებისა და ნათესავე-
ბის პატივის მოყვარების გულისათვს უბედურებისათვს არ
მიეცა საქართველო, რუსეთს მასცა ქვეშევრდომობაში. სა-

იდუმლოთ დაიბარა თავადნი: ჭავჭავაძე, ავალის-შვლი და ფალავანდის-შვლი და იმათ უთხრა თავისი გულის სურვილი, დაარიგა რა რიგათ მოქცეულიყვნენ და გაგზავნა პეტერბურღშია...

თითონ ბატონის შვლებსაც კარგათ ეყურებოდათ, როგორც მაშინდელი თავიანთი მდგომარეობა, აგრეთვე იმათაგან აკლებულის სამეფოსი. ჯერ ისევ 1801 წ. დაწყებამი ვახტანგ ბატონის შვლს შეეტყო იმპერატორის სურვილი, რომ საქართუელოს მეფეთ არავინ დაემტკიცებინა; სხუათა შორის მოსწერა კნორინღსა ამბავი, იმას ძალიან იამა„

„უამისოთაც რუსეთის იმპერატორი ჩუენი კელმწიფე არის და ჩუენ იმისნი ქვეშევრდომნი და მონანი ვართ, მე დიდს ბედნიერებათა ვრაცხი ჩემთჳსა, რომ საქართუელოში მეფე აღარ იყოს.„

ბატონის შვლმა სთქუა, რომ თუ იმპერატორის წინაალმდეგათ ვიქცევიო, ამის მიზეზი არიან მოწინაამღდეგენიო, დავით ბატონისშვლი და იმისნი ნათესავებიო.

„ასე რომ არ იყოს — მისწერა იმან — და რომ ნამდვილი მდგომარეობა ვიცოდეთ, არაფერში წინაალმდეგი არ შევიქმნები და მოხარულიც ვიქნები ამ საქმისა; მგონია რომა აგრეთვე სხუა ძმებიც სიამოვნებით მიიღონ ეგ თქუენგან შეტყობინებული უმაღლესი ნება.„

უეჭველი არის — მოახსენა კნორინღმა — რომ საქართუ-

ლოს აზნაურშვილობაში ნახევარი ისეთნი იპოებიან, რომელთაც სურსთ ხედავდნენ თავიანთს მეფეს მზგავსს ადრინდელის თჳსებისას, იმისათჳს რომ დაიცვან თავისი უფლება, ჩამო-მაველობით მიიღონ ღირსება და მასთან დამოკიდებული შემოსავლები, რომლითაც ატყუებენ ბატონისშვილები და მასთან აშინებენ ცილილებით, მაგრამ საქართველოში ჩემს ყოფნაში კი დაფარული ჰქონდათ ყოველივე თავიანთ გრძნო-ბაები. გარდა ამათი რომელნიც უკეთესათა ჰგრძნობენ, რომ იციან შინაგანი, და გარეშე მდგომიარება თავიანთ სამშობ-ლოს ქვეყნისა, იციან რომ უსაფუძლო არის ამ გვარი მთავრობა, რომელსაც არა აქუს არც მყვიდრი საფუძველი, არც შეძლება რომ გამართოს, საუკეთესოთა ხედვენ, რომ სამჯობინო არის დაუთმონ ნაწილი თავიანთის უფლებისა და იყვნენ საფარველს ქუეშე მეურყეველის კეთილ მდგომარე-ობაში, მინამდისინ ყოველს წამს შიშში ყოფნას, მოელო-დნენ დაკარგვას სიცოცხლისას და ქონებისასა ან შინაურის ანღრეულების მიზეზითა და ან გარეშე მტრისაგანა, გულ-წრფელათა სურსთ იყვნენ ქუეშევრდომნი თქუენის იმპე-რატორების დიდებულებისა.

და თუ რომ ნაწილი, რომელთაც კეთილი არა სურსთ თავიანთის სამშობლო ქუეყნისათჳს—ზოგიერთს ბატონის-შვილებსა და აზნაურებს სახაედა სხუა უნდათ და თავიანთს სარგებლობას ამჯობინებენ, ამათ რომ შეჰფარდეს სულ და-ნარჩენი ხალხი, რომელთაც სულითა და გულით სურსთ რომ

რუსეთის კანონების ხელქვემონი იყვნენ, მაშინ სურვილი ამათი რომ ყოველი სასოებჱ თავიანთი თქუენის იმპერატორების სულგრძელებაზედა აქჳთ მონდობილი, ღირსია აღსრულებისა."

კნორინღის სიტყუა მალე აღსრულდა. როგორც რომ ნეიტყუეს საქართუელო რუსეთის ქვეშევრდომობაში შედისო, ჩვიდმეჯამდისინ ქართველის სახლობა, რომელთაც დროებით თავი დაენებებინათ თავიანთის სამშობლო ქვეყნისათჳს, მოვიდნენ ლაზარევთანა და სთხოვეს ნება მიეცა საქართუელოში დასახლებისა და რომ მიწაც მიეცათ. იმპერატორმა ალექსანდრემ ნება მისცა დასახლებისა და მიწის მიცემისა არამცთუ მარტო იმათა, სხუათაც, ვისაც მოენდომებინა დაბრუნება თავიანთს მამა პაპის ქვეყანაში.

ამ სახით კნორინღის ადგილობრივი გამოძიება უჩვენებდა, რომ აუცილებლად საქართუელო უნდა შეერთებულიყო. ის არც სარგებლობაზედ მოახსენებდა, არც იმაზედ რომ იქნება რუსეთის. ამ შემთხვევაში რამ გასჭირებოდა კნორინღმა რუსეთის საკუთარი სარგებლობა დაეიწყებას მისცა, მაგრამ ღრაფმა მუსინ პუშკინმა რამდენიმე დღის წინათ მისცა წერილი, რომლითაც იმასა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რუსეთის კეთილ მდგომარეობისათჳს დიდი სასარგებლო იყო საქართუელოს შეერთება.

იმისი ჰაზრით, მარჯვეთ მიეიღობდა მდინარეებით ვოლღით, დონით, დნეპრით და ურალით, შავსა და კასპიის ზღვებთანა

და რადგან ესენი საქართველოზედა ახლო არიან, იმედი იყო რომ ვაჭრობა რუსეთისა ძალიან გავრცელდებოდა უმეტესად სპარსეთთან და საერთოდ აზიაში, კასპის ზღვითა.

წარსულის საუკუნის დასაწყისში რაც აბრეშუმი გადიოდა აზიიდამ ევროპაში, მიდიოდა საჭიროების გამო არხანღელსკით, რომელიც თავისის მდებარებით, ძალიან უმარჯო არის, მაგრამ მაინცკი მეტი გზა არ იყო რომ ის გააკეთეს სავაჭრო ქალაქათა. ამისმა უმარჯვეობამ დააწყებინა იმპერატორს მეორეს ძებნა სხვა გზისა კასპიის ზღვის ახლო. ანგლიჩნებიც თანხმანი იყვნენ ამ ფიქრისა რუსეთის დიდის ცვლილების მოქმედებისა, ცდილობდნენ რომ იმისის მეამავლობით ეპოვნათ უშიში გზა კასპიის ზღვის მხრითა, რომ მერე ვოლღას და ბალთიის ზღვით ჰქონოდათ შეელებული სავაჭრო გზა აზიასთანა, რომ ვერას გახდნენ ამითი, ეს იყო მიზეზი დაწესებისა ინდოეთის ვაჭრობისა. რომლისათვსაც ხარჯი მოუნდა ჯარის შენახვას ინდოეთშია.

თუ რომ ცალის მხრით იყვნენ იმისთანა პირნი, რომელნიც მიეზიდნა სარგებლობასა, რომელიც საქმით კი მართლა არ იყო, თუ რომ მდებარება საქართველოსი და სიმდიდრე ძალიან მოემატებინათ და შემდეგში კი იმოდენი აღარ აღმოჩნდა როგორც ეგონათ, მეორის მხრითაც იყვნენ მოწინაამდეგნი, რომელნიც ამისთანა შემატებას უარსა ჰყოფდნენ. ღრაფები ეორონცოვი (ს. რ.) კოჩუბეი და კნიაზი

ჩარტორიჲსკი საქართჳელოს შეერთებაზედ წინააღმდეგნი იყვნენ. იმათგან შედგენილი ამ საგანზედ მოხსენების ქაღალდი იმპერატორმა ალექსანდრემ ღოსუდარსტვენნის სოვეტს მისცა გასაშინჯათა კნორინლის მოხსენებაცა.

8 აგვისტოს 1801 წ. ღოსუდარსტვენნის სოვეტში ისხდნენ და ყაყანი ჰქონდათ. უმეტეს ნაწილთ იქ მსხდომთა. იმ ჰაზრისანი იყვნენ რომ საქართჳელო რუსეთთან შეერთებინათ. გრაფები: ვორონცოვი, კოჩუბეი და კნიაზი ჩარტორიჲსკი არამც თუ სასარგებლოდ არა ხედავდნენ ამ ახალს მოპოებას, ამას ამბობდნენ, რომ საქართჳელოს იმპერიასთან შეერთება რუსეთის სასარგებლო არ არისო; ჩარტორისკიმა სთქუა, რომ მივიღოთ ის მხარეო ქვეშევრდომობაშიაო უმეტესად გავრცელდება რუსეთის მიჯნებიო, რომელიც უიმისოთაც დიდი არისო და იმათ დასაცველად ძალიან დიდი ხარჯი და ღონის ძიება მოუნდებაო.

იცოდნენ რომ საქართჳელო უსამუალოთ რუსეთის სამძღვარზედ არ იყო მიკრული და შუაზე ჰქონდა სხუა ადგილი, სადაც იყვნენ რუსეთის მოწინააღმდეგე ხალხი, შესაძლო იყო დათანხმებულიყვნენ შეერთების წინააღმდეგ ჰაზრზედა, რადგან დაცვა მისი რუსეთს დიდს ხარჯს აძლევდა. მაგრამ რასაც ისინი ზომიერებას ფიქრობდნენ, ის შესაწყნარებელი არ იყო და იმისი დათანხმება არ შეიძლებოდა.

ვიცე-კანცლერმა (გ. ი. ღრაფმა ს. რ. ვორონცოვმა) სთქუა, ამ შეერთებას კანონის წინააღმდეგათა ვხედავო, ამისა-თჳსაო რომ ბაგრატიონთ გვარი საქართველოში მეფობს მემკვიდრეობითაო და არა არჩეობითაო, ამისათჳს სამეფოს შეერთება ძალის დატანებას ეგვანებაო.

კნიაზმა ჩარტორიჟსკიმ უარი ჰსთქო ხალხის გულითადს სურვილზედა- იმათი უფლება თხოვნაზედ არ მეიწყნარა და არც იმათს საცოდავს მდგომარეობას მიაქცია ყურადღება. იმას ამბობდა რომ დიდი სამძლვარი დიდს ხარჯს მოითხოვს დასაცვავათაო, ის ამ ჰაზრისა იყო რომ საქართველო ყოფილიყო სავასსალო ანუ საერისთაო, ესე იგი რუსეთის მონებაში მყოფი და მოვალე იმისათჳს ომში წასვლისა, როგორც მიღებული ჰყვანდა იმპერატრიცა ეკატირინე მეო-რესა; ამათან რომ ის ჯარები რომელიც იყო საქართვე-ლოში იქ დარჩენილიყო და ტფილისში ყოფილიყო რუსეთის მხრით სრულის რწმუნებით მართებლობისაგან ვინმე პირი და ჯართ უფროსიც საქართველოში ისევე ყოფილიყო. ყმაწვილი და გამოუცდელი დიდი კაცი სჯიდა ხალხის ბედსა და ერთს ჰაზრს უარობდა როგორც გამოუსადეგარს, ამბობდა უმეტესის ნაკლებულება-ებითა.

იმას თავი დავანებოთ, რა ერთი უნდა დახარჯოდა რუ-სეთსა რომ საქართველო სავასსალოთ მიელო და მაშინ ში-ნაგანის შფოთისა და გარეულის მტრისაგან დაეფარნა იქ

მოვიხსენიოთნამდვილი სიტყვები ჩარტორიჟსკისა და თითონ
აღმოაჩენს თავისს შეცდენასა, იმან სთქვა: რუსეთის სარწმუ-
ნო პირს უნდა ჰქონდეს მზრუნველობა რომ მეფის გვარე-
ულობაში სიტკბოება და ერთობა იყოს და რომ მეფე
ხალხს უდიერის ხარჯითა და ბეგარით არ აწუხებდეს. ეს
წინააღმდეგობა რომელიცა აქვსთ ერთმანეთში დავით ბატონის-
შვილსა და იმის ბიძებს, მეფის ირაკლის ძეთა, უნდა დამკვი-
დრეს ირაკლის ანდერძის დამტკიცებითა, რომელიც არის
შეწყნარებული ხალხისაგან და იმ ქვეყნისაგანაც, რადგან რომ
მემკვიდრეობა იმაში არის გამოცხადებული და საქართვე-
ლოს თანამდებობის პირთაც დაუფიცნიათ ამაზედ ისევ ირაკლის
სიცოცხლეშია.„

ღოსუდარსტვენნის სოვეტის წევრნი თანახმანი ვერ შე-
იქმნენ ამ ჰაზრზედ. საქართველო რომ თავისუფლათ დარჩე-
ნილიყო შესაძლო არიყო ისეთი საშუალობა ეპოვათ, რომ-
ლითაც შესაძლო ყოფილიყო დამშვიდებულიყვნენ და შე-
რიგებულიყვნენ მეფის ჩამომავლობა ერთმანეთში და აგრე-
თვე ხალხთანა. ხალხმა რაკი რუსეთის ქვეშევრდომობა
ისურვა და ამითი ბატონის შვლები რომ მოიმდურა, შემდეგ
ამისა საცნაურია რას შეწუხებას მიაყენებდნენ იმათ ისინი.
როგორ შეეძლო რუსეთის რწმუნებულს პირსა რომ ცარი-
ელის სიტყვით, უუფლებოთ, დაეფარნა ცარცვისა და აკლე-
ბისაგანა? შესაძლისი იყო რუსის იმპერატორისაგან, რომე-
ლმაც ერთხელ გამოაცხადა თავისი სურვილი, რომ ქვეშე-

ერდოპობაში მიიღებდა, უარი ეთქვა, მაშინ, როდესაც ხალხი ფიცის მიღებას აპირებდა? უარის ყოფა უმეტესსა და საუკეთესო ხალხის ნაწილს მისცემდა მსხვერპლად ბატონის შვილების ჯავრის ამოსაყრელათა.

ლოსუდარსტვენნის სოვეტმა დაწვრილებით გამინჯა ცალის მხრით კნორინგის მოხსენება და გრაფი მუსინ პუშკინის წერილი, რომლებიც იყო შედგენილი საბუთებიდამ, თუმცა და შეცდენით და მომატებით, და მეორეს მხრით პირათ გამოთქმული ჰაზრი, საქართუელოს რუსეთთან შეერთების წინააღმდეგ პირთა, პირველ მოხსენებულთ პირთ ჰაზრი დაამჯობინეს მეორეებისჰაზრსა.

ლოსუდარსტვენნი სოვეტმა სცნა, რუსეთი **1783** წ. საქართუელოს შემწეობას რომ დაჰპირდა, იმ დაპირებამ შეამთხვია იმას ის უბედურებაები, რომლებიც იმისაგანვე არის იმ გვარს მდგომარეობაში, რომ აღარაფრის ღონის ძიება აღარა აქუს — და თუ ისევ იმ მდგომარეობაში დარჩება, სრულებით დაიღუპება.

საქართუელოს დასაცვავად თუ რომ — სოვეტის განჩენში, 8 აგვისტოს **1801** წ. არის ნათქუამი — ყოველთვს იყოს იქ იმოდენი ჯარი, რამოდენიც ეხლა იქ არის, მაშინ ამისაგან რუსეთს ექმნება დიდძალი და უსარგებლო ხარჯი. ცოტას ჯარით კი შინაურის არეულებისა და მტრის დაცემისაგან ვერ დაიფარავთ. საჭირო იქმნება რომ მეფე დაინიშნოს, ერთი რომელი მე ბატონისშვილთაგანი, რომე-

ლსაც ერგებოდეს. პირველი არის იულონ, დადგენილი ირაკლი თეიმურაზის ანდერძითა: მეორე დავით ბატონის შვლი, მისის ძის გიორგის ანდერძით. მართალია გიორგი მეფემ თავის მამის ანდერძი დაარღვია; მაგრამ იქნება მიზეზი მისცეს თავისმა ძმებმა, ბატონიშვილებმა, გარდა ამისა იმისაგან დანიშნული სამეფოს მემკვიდრეთ, დავით, დამტკიცა განსვენებულმა იმპერატორმა, რომელსაც ჰქონდა დამტკიცების უფლება. ამ სახით ეს ორნი არიან, დავითის დამტკიცებას წინააღმდეგობენ და ირაკლის ანდერძის დარღვევსსა და უნდა აღვიდეს ტახტზედ მთავარი, რომელმაც თავისის თვსებით ხალხი წინააღმდეგი გაიხადა. მაინც კი საქართველო არც ერთ იმათგან ცხოვრებას არ მოელის და თითონ მეფემ გიორგი ირაკლის ძემ ყოველი უბედურება წინათა სცნა, რომელიც წარმოსდგებოდა მეფის საგვარეულოსაგან, სხვა გზა ვეღარ იპოვა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში დაემტკიცებინა, თავისი მშობლის კვალზედ გაიარა, რომელმაც გამოგზავნილის კაცით თავადის ჭავჭავაძით 1795წ. ნების დართვა ითხოვა, რომ მოზდოკში ანუ სხვაგან ენახა კავკაზიის ლინიის ჯართ უფროსი ღენერალი ღრაფი ღუდოვიჩი, როგორც ესენი სჩანს იმ დროს ქაღალდებიდამ.

ამ ყოველის ახლად აღმოჩენილის მდგომარეობისაგან სოვეტი ვერასფერს უსამართლოებას ვერა ხედავს, რომ საქართველო რუსეთთან შეერთდეს და ამასკი ხედავს, რომ

ამითი იმ ქვეყანას დაიფარავს, რუსეთისათვს არსებითი სარგებლობაა საიმედოთ გაამაგროს სამძღვრები, რომ თული ხალხი ვერ შემოდიოდეს, რომელნიც შესაძლისი იქნება მაშინ ადვილათ შეიმაგროს და საგზისოთაც ოსმალების მოსაგერებელათაც, სპარსეთი ხომ რაღა, რომელნიც უეჭველი არის, საქართველოს თუ თავი დავანებეთ, დაეეცემიან იმასა და დაიპყრობენ კიდეცა.

ამასთანავე ღოსუდარსტვენნის სოვეტი ფიქრობდა: მეფის სახლეულობისაგან ისინი დაერჩინათ საქართველოში, რომელნიც უფრო მშვდის ხასიათისა და თვისებისანი იყვნენ და საფიქრებელი არ იყო, რომ იმათ ან ხალხი აეშფოთებინათ და ან მოსამძღვრენი მოეწვიათ და წინაღმდეგობა მოეხმარებინათ; დანარჩენნი კი ყველანი რუსეთში გაესტუმრებინათ და ჯამაგირები დაენიშნათ იმ გვარად, ვისაც რამოდენი სახლეულობა ჰყვანდა და ამ გვარად, გაემართათ იმათი მდგომიარება.

ეს სოვეტის აზრი, ამ შემთხვევაში იმპერატორმა ალექსანდრემ ასეთის გულ მოდგინებით მიიღო, რომ ნეოფიციალნი კომიტეტის ჩლენებმაც უარი ვეღარ ათქმევინეს.

იმპერიის სახელისა და პატივისათვს და საქართველოს ხალხის სათხოვარის მეწყალებისათვს, იმპერატორმა გაბედა რომ საქართველოს სამეფოში, იმისის საკუთარი კეთილდღეობისათვს, გაემართა მართებლობა და წესი.

ღენერალი კნორინლი დანიშნეს უმთავრეს მხედართ-

მთაურათ, ამ ქუეყანაში. იმას ჩააბარეს გამართა ახალი სამმართებლო და პოლიციის ნაწილი, იმ გვარათ, რომ ხალხი არამცთუ მორჩილი ყოფილიყო იმისი, ჰყვანებოდა კიდეც ის ხალხსა, და მართებლობის დაწესებაში ჰქონოდა მხედველობაში ხალხის ჩვეულება, ხასიათი და მიდრეკილებად სჯაზედ; სასულიერო სასწავლებლების დადგენისათჳს ეზრუნა, რომ იმითი მიეღოთ დასაწყისი განათლებისა.

ტფილისში ამ საქმეს სხუა რიგათ შინჯავდნენ. ზოგმა ერთმა რუსეთის ერთგულმა თავადისშვილებმა უთხრეს ლაზარევსა, დავით ბატონისშვილა საიდუმლოთ მანიფესტი მოსულია პეტერბურღიდამაო, რომ საქართუელო იქნება ღუბერნიათაო და ამ გვარად შაერთდება რუსეთთანაო.

ეს ამბავი რომ გაიგო, დავით ბატონისშვილმა, თავისის ძმის იოანე ბატონისშვილის რჩევით, რომელიც მაშინ რუსეთის სამეფო ქალაქში იყო, შეკრიბა ბეჭდები თავადისშვილებისა, რომლებიც იყო დასხმული არზაზედ იმპერატორთან გაგზავნილზედ, რომ ისა სურდათ მეფეთა. გარდა იოანე ბატონისშვილისა მრავალმა თავადისშვილებმა, რომლებიც პეტერბურღში იყვნენ მაშინ, მოსწერეს თავიანთს მეგობრებსა ამ საქმის შესრულება, თავადმა ზაალ ა დრონიკაშვილმა **12** ოკტომბერს **1801**წ. მოსწერა იოანე ორბელიანსა და სოლომან თარხანისშვილს, რომ ეს საქმე საგანგებოთ ჰქონდა გამართულიო, მაგრამ უეცრად კნორინგი მოვიდა და იმპერატორს არწმუნა, რომ ხალხს მეფე არა სურთო.

ამ შემთხვევამ საქმე დააყენა—და გამოაცხადეს რომ საქართველოში მეფე არ იყოს და არც რუსეთის ქვეშევრდომობაში იყოს. იფიქრეთ რა იქნებით და ვისი იქნებით? მანდაურმა უსაქმურმა ყმედობამ აი რა შემოგძლვენათ! მანდ არ იყავით? რაზედ დაიდეთ ხალხის საცოდაობა და ან თქვენს თავს ეს რა უყავით? არა გცხვენიან ვინც ესა ჰქმნა და განზედაც გასხდნენ: აღარც ბატონია, აღარც პატრონია.

ის ამბობდა, რომ საქართველოს ელჩებს ეს დადგენილება რომ გამოუცხადესო, ერთობ ისინი თანახმანი არ შეიქმნენ ამაზედ და იმპერატორს არზა მისცეს. თავადი ადრონიკა-შვლი იმედს აძლევდა ტფილისის თავისს მეგობრებს, რომ საქმე კარგათ დაბრუნდებაო და ურჩევდა ვინიცობა არის რომ გკითხონ კიდევაო, უპასუხეთ რომ პეტერბურღში ელჩები და ბატონიშვლები გვყავანო და ისინი რასაც ისურვებენ ჩვენ თანახმანი ვიქნებითო.

რუსეთის მმართებლობა ჰგონებდა, რომ საქართველოს მდგომარეობა სრულებით და აშკარათ იცოდა და ამისათვს საჭიროთ აღარა სცნა, რომ კიდევ რისამე კითხვაში შესულიყო. საკმაო ბედნიერებათა სთვლიდა საქართველოსათვს, რომ რუსეთთან შეერთებინა და მოესპო უფლება და უწყსობა მეფის სახლეულობისა

იმპერატორმა ალექსანდრემ საქართველო რომ მიიღო, თავისს ქვეშევრდომობაში, პირველ საჭიროებათა სცნა,

წაეყვანათ რუსეთში ორივ საქართჳელოს დედოფლები და ბატონისშვლებიც, ამასთან უბრძანა კნორინლსა გამოეცხადე-ბინა იმათთვს, რომ ყოველიფერი შესაბამი პატივი ექნებო-დათ მოუკლებელლათ დაცული და სახარჯოთაც იმოდენი ულუფა ანუ ჯამაგირი ექნებათ, რამოდენიც მამულის შემო-სავლები ჰქონდათ საქართჳელოში. ამ შემთხჳევისათვს უბრძანეს ცნობაში მოეყვანათ საქართჳელოს შემოსავლები და ხარჯს რასაც აძლევდა ხალხი. რადგან ბევრ გვარი ხარჯი იყო საქართჳელოშია, ამისათვს რუსეთის მმართებლობამ ისურვა რომ ყოველივე რიგი ხარჯი შეცვლილიყო ფუ-ლათა და პურათა.

რადგან უკანასკნელის მტრებისაგან აკლებით, საქართჳე-ლოში ცოტალა იყო ხალხი, ამ მიზეზით კნორინლს ნება ჰქონდა მიცემული მმართებლობისაგან, რომ ისევ საქართჳე-ლოს კეთილის დღეობისათვს, მოსამძღრე სახანოებიდამ მოეყვანა ხალხი უმეტესათ ქრისტიანები, დაესახლებინა საქართჳელოში, მიწებიც მიეცა და სხვა რიგი შემწეო-ბაც პირველს შემთხვევაში და ამ რიგათ ხალხი გაემრა-ვლებინა.

გარდა ამისა კნორინლს კავკასზიის ლინიის გზა საქართჳე-ლოში მოსავალი უნდა კარგათ გაემართა, რომ საშიში აღარა ყოფილიყო იქ სიარული და რომ გარეშე მტრის დაცემის შიშიც აღარა ყოფილიყო და ის ხანებიც, რომ-ლებიც ჯერ ბაბა-ხანის ქვეშევრდომობაში არ იყვნენ და-

მტკიცებულნი ერევნისა, განჯისა, შაქისა, ბაქოსი და სხვებიც — რუსეთის მხარეს დაეყენებინა.

ამათის შემწეობით, რომლების საბრძანებლებიც არაქსის მარცხენას მხარეს იყო და მტკვრისკენაც ჰქონდა ნაპირი, რუსეთს უნდოდა რომ ისე გაემართა რომ სურსათი ჯარისა და სხვა სამძიმო გადმოსატანი წყლით ასტრახანზედ მოეტანა და არა მშრალის გზით კავკაზიის მთებზედა. ამ შემთხვევაში უმეტესი ყურად მისაქცევი იყო ბაქოს ხანი, რადგან რომ მტკვრის პირიც ეჭირა და კასპიის ზღვის კარგი ნაპირიცა. ამისთვს რომ ის რუსეთის მხარეს ყოფილიყო უმეტესად საჭირო იყო, თუ რომ ეს ვერ მოხერხდებოდა, მაშინ პეტერბურღის კაბინეტის ბრძანებით კნორინგს თავისი ყურადღება შავს ზღვაზედ უნდა მიექცია და მერე იმერეთითა და რიონზედ ემოქმედნა.

(სხვა მერე იქნება.)

# ვ ა რ დ ი .

შენი ხვედრი ჩემო ვარდო
არს ძლივს ერთი გაზაფხული;
დღეს იხარებ ხვალ დაჭკნები
ჰაი რა არს მომავალი.

ხან პეპელა დაგტრფიალებს,
ხან ფუტკარი შურიანი,
თვით ნიავი გეალერსებს,
თითქოს ამბობს ნანი ნანი.

მაგრამ აგერ მოქრის ქარი,
შენ საწყალო იწყებ კანკალს;
მართლაც იგი ულმობელი
ამ დროების გისომს ნამგალს.

შენს ფოთლებსა შორს გაფანტავს
უგზო უკვლოთ წაიღებს მათ;

და თუმც წალკოტს შენ ამშვენებ
უნდა გაქრე უეჭველათ.
სიყვარულიც შენ გემზგავსის
იგიც შენებრ ჯერ იბრწყინავს
მაგრამ მაინც უნდა დაჭკნეს
ოდეს ქარი დაუქროლამს.

ვასილი აკოფოვი.

5 მარტს 1869 წელსა.

# ჩემი ქმარი, სხვას ირთავს?

კომედია ორს მოქმედებად.

შეთხზული აზ. ი. ელიოზოვისაგან.

---

1856 წელსა

22, თებერვლისა.

## მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი

თავადი საამ გოდერძოვი
ოსანა ამისი ცოლი,
ბალდასარ მინაიჩ ბიძა ოსანასი
ლევან მალალდაძე მეგობარი საამისა.
სვიმონ მწერალი. საყვარელი ოსანასი
ქვირია ამათივე ბიჭი.

2, მოქმედებაში·

ნიკოლოზ მტერ ვართანიანცი
რიმსიმე ცოლი ამისი
ლოლო ქალი ამათი
ტასიკა გამდელი ლოლოსი,
საამ, ლევან, და ოსანა.
კუარტალნი,
დესეტნიკი,
ბასილა ბიჭი ნიკოლოზასი,
სტუმრები.

მოქმედება ტფილისს, 1, ოსანას სახლში და 2, ნიკოლოზას სახლში. —

ზალა სამ კარიანი: მარჯვნივ ოთახი ოსანასი, მარცხნივ კუხნა, სტოლი, სკამები, უკან დგას ზანდუკი. ოსანა შემოდის თავის ოთახიდამ თვალების წმენდითა და ტირილითა; ფარდა აიხდება.

## გამოსვლა 1.

ოსანა. ეს დღეც გავიდა და კიდევ არსადა ჩანს ჩემი პირშავი ქმარი, მე უბედური ვარ, ჩემი ყოველივე სიცოცხლის საათი არის მწუხარებისა; ვინ დააფასა სიცოცხლე ყოვლისა უძვირფასოდ, მე უმჯობესად ვრაცხამ სიკვდილსა. ოჰ! სიკვდილი გემრიელია! სიკვდილო? განმათავისუფლებს. ჩემის ქმრის ანჩხლის თვალებიდგან. ჰეი, გაფრენილნო დრონო, ჩემის მწუხარების დღენო! უნდა დაგივიწყოთ, როგორც სიზმარი, კიდევ გავძლო როგორც კლდე? გაშრით მწუხარების ცრემლნო! ნეტართური საუბედუროდ აღმოჩნდა ლევან მაღალაძე, წყეული, რომელმაც ჩამაგდო ამისთანა ჭირშია, აახ! უბედურო ბედო, ჩემთჳს დაწესებულო! რით დასრულდები?

## გამოსულა 2.

ბალდასარ. (ყვირის): მიშველეთ! მიშველეთ! მამკლეს!.. (შემოვარდება და სცენაზედ წაიქცევა მტვრიანი, ამდგარი

ოხრავს და კელს იდებს თავსა და გვერდებზედ) ოჰ! ოჰ! მამკლეს! (ფარფატობს.)

ოსანა. (გაკვირვებით) რა ამბავია ~~ძმაო~~? რა მოხდა?

ბალდასარ. რა? ღმერთმა ნუ იცის ბაზაზი ნორიას თავმა, მამკლა, ვაი! ვაი! გვერდები! [იგრიხება].

ოსანა. რათა? რასაქმეზე?

ბალდასარ. ამბობს თუ წუხელის ფანჯარა გაგიტეხია და ჩემ ცოლთან არშიყობა გქნიაო, კიბითგან გადმომაგდო კინაღამ მამკლა ვაი! ვაი! ვაი! (იღრიჯება).

ოსანა. უჰუ! უჰუ! რაამბავი მამხდარა, მერე იმ ქალის ნებაც იყო.

ბალდასარ. მაშ ვა! ახარ კარები რომ დაკეტილმა იყო, ფანჯრიდამ გავძვერ, აი ეს მამცა თავისი პატრეტი ნიშნად პარისა-ბას! (ამოიღებს უბიდამ ქაღალდზედ დახატულს ქალსა].

ოსანა. [გამოართმევს და სინჯავს) უჰ! რა მშვენიერია ყოფილა ის დასაქცევი, ნეტა მე ვიყო ამისთანა ლამაზი.

ბალდასარ. მაშ ვა! ახარ ისეთი ლამაზია, ისეთი კელკუცია, რომ ვკდები ვგიჟდები იმისთჳს საიდუმლო იყოს ჰა!..

ოსანა. ქმარირო არ გაძლევს ნებასა!

ბალდასარ. ნება ვინ ჩივის ოსანჯან რომ ნხა და კინალამ დავარდა, — ბნედა მოუვიდა.

ოსანა. განა აგრეა ქრმები, მაშ უნდა გამოესალმო.

ბალდასარ. როგორ? — ვა! მაშ რომ იმასაც უყვარვარ (წუწუნით), ესენც აა აქა ოსანჯან (გულზედ იდებს კელ-

სა] კრაკიპეს ერეუმე ვაბალათუ იმისი ცოლია ჩემიც არის, სანაჰევროა სასამართლოში ვიჩიელებ ჩემა მზემა [ჰკითხამს ხენეშით და კვნესით): ქუმატაღ, ოსან! ერთი მითხარ დასტურს არ მამცემენ, ნახევარი ჩემი იყოს?

ოსანა. გაგონილა! ორი ქმარი.

ბალდასარ. ვითომ რატომაო? ნონიამ რომ შეირთო ის ქალმა და ოთხ თეეზე ლეკებში დაიკარგა, მერე ხომ შენც იცი, რაენახე ქმარმა ალარა ჰყვანდა მე შევირთე, ერთიც ენახოთ, პატარახანს უკან ცოცხალი მოეხირა და წამართვა, აგერ ორი თეეა სწორეთ, რაც იმანა ჰყავს (ჰკითხამს] ახლა იმანა ჰყავს; ბას მე არ მერგება ახლად ორი თეე მე მქვანდეს?

ოსანა. მაგისი არავიცირა.

ბალდასარ. ვა, როგორ არ უნდა იცოდე ზაკონები? — სწავლული ქმარი გაქვს.

ოსანა. თვალი იმასაც დაუდგება და იმის ზაკონებსაცა.

ბალდასარ. ვა, გიჟე! იმისთანა სწავლულსა რაები ბოდამ.

ოსანა. ძალიან კა ეტყობა სწავლა დღე არ გაივლის, რომ არ გაანჩხლდეს და ცემა არ მიქადოს, მოკვდა ეს გული [ტირილით).

ბალდასარ. ეჰ, ეგ სულ არაფერია, მე სხუა მეგონა რამე: აი ეხლა შამახიას გამწესებულა ზასედატლათა და მენ იქ წაგილებს.

ოსანა. როგორ?..ნეტავი არ იქნება წავიდეს, ეგება გზა-

ზედ კისერი მოსტყდეს.

ბალდასარ. ფიე! რაები ბოდამ? გაგიჟდი თუ? იქ სულ ნოლბათი ნოლბათეზე მოგიეა, ფეშქაშები ჰა!.

ოსანა. იქ მაინც არ გავყვები, რო კიდეც მამკლას.

ბალდასარ. ინჩის ხოსუმ ტუტუც! ხელმწიფის სამსახურში ჯამაგირი და ქრთამის ოქროებმა, როგორია?

ოსანა. რაც უნდა იყოს ჩემთვს სულ შხამია.

ბალდასარ. უჯიათმიილი თორემ ხომგიდის ოსან იმისი ხასიათი ძრიელ გამცხარდება, მე მინდა წაეიდე თეალი მტკივა, წამალი..ისე..ემე..ჭო..რამე ვქნა..

ოსანა. თეალი? მე კაი წამალი ვიცი, ერთხელ მე კბილი ამტკივდა, ამოვიძრე მორჩა შენც ამოიღე და მორჩები.

ბალდასარ, თეალი ამოვიღო და დავაგდო?

ოსანა. (მორჩები მეთქი დამიჯერე.) ჩვენი თეთრი მწევარი გადიჩეხა ფიჩხეზზედ და ერთი თვალი დაუვარდა, მაშინვე მორჩა.

ბალდასარ. [იქით] აი ტუტუცი დედაკაცი, რაები ბოდამს. (ოსანას) ახარ ხელი აიღე მამა გიცხონდება, დაეიდარაბა მოშალე, წაეიდე დუქანი არ გაგოლცონ. გავა მუაზედ)

ოსანა. (მარტო) რას მირჩევს! ჩემს ქმარს წავყვე, გზაში მამწამლოს და მამკლავს, მერე იქვე ჩამფლას, აბა რასაკვირველია, ჩემს საყვარელს სეიმონს დავკარგამ, და იმას გავყევები მგონია ცეცხლის სახმილშიაც რომ ჩამაგდონ მაშინაც ვერ დამათმობინონ სეიმონი. ახ! იმის სიყვარული,

რომ არ მიქარვებდეს მწუხარებასა, მგონია აქამდინ ჩემს საფლავზედა სამი ადლი სიმაღლე ბალახი ამოსულიყო, ჩემს ქმარს კი უნდა ჩემი სიკუდილი, მაგრამ არა ვკვდები, არა სცხვენიან! (მდუმარებით] რაექნა? წიგნი მივსწერე სვიმონსა და ჯერეთ პასუხი ბიჭს არ მოუტანია ოჰ! რა ძნელია ლოდინი! ვის უთქვამს იმ კურთხეულს ეს სიმღერა! მგონია ისიც გულ დამწუარი ყოფილა.—დავიწყო, თუ არ ავირიე, მაგრამ, არა!..ჰა...ასეა..მამაგონდა:

„შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული,
სევდამ უწყალოდ მიმატა წყლული,
არ გესმის მნათი შენებრ ნახული,
მანათობელი ჰაერთა სული.
შენდა შეყრამდის.

ვგონებ ყოველჟამ დღენი ბნელობდეს,
მშვილდი გაზიდვით ორად გველობდეს,
ინდოთ ლაშქარნი წყობით მცველობდეს,
სხვათა ისარნი ჩემებრ მწველობდეს,
რადგსურს მიჯნური, შენთვს კელობდეს,
შენთვის გაჭრილსა მაქვს ალსასრული,
შენდა შეყრამდის.

ვარდსა ვადარე ლაწვის ფერია,
მიხაკად ბაგე დამიწერია,
სუმბულთა ქარი მოუბერია,
ბროლისა მკერდი შესაფერია

შენზედ იადონს არ უმღერია,
მისთჳს სტვენითა გვალხენს ბულბული,
შენდა შეყრამდის.

ზენარსა ვჰფიცამ, ვინც მოგშორდება,
უშენოდ ლხინი არ შეერგება,
აჰა მიჯნურსა მოეცინება.
ლახუარი გულსა განეწონება,
შჳდთა მთიებთა სურს შენი ხლება,
შენსა შორს მყოფსა ამამდის სული,
შენდა შეყრამდის, ვით გასძლებს გული,
სევდამ უწყალოდ მიმატა წყლული.

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 3.

ოსანა და კვირია.

კვირია, (შემოირბენს შუა კარით და პაკეტს მიართმევს) აპა ქალბატონო! გეიხარე! გეიხარე! ეს გამომატანა იმ კაზახმა.

ოსანა. [გამოართმევს] რას ანბობ? ვინ ყაზახმა!

კვირია. იიმე, რავა დეივიწყე სადანა გამგზავნე, კიდამ დეიკარგე ქუჩაშიდა.

ოსანა. (სიხარულით) სვიმონ თან? მახსოვს! მახსოვს, მიამბე, მოსვლისა არა თქვარა? ან არ მიკითხა?

კვირია. კი გიკითხა, მე ქვე უთხარი, ქალბატონი თავ-შექცეეით არის მთქვა.

ოსანა. როგორ თავ შექცევით! ეგ რა სათქმელია.

კვირია. იიმე, არ მაცლი მე უბედურსა: რაეარც წეიკით-ხა შენი წიგნი, სიხარულით კილამ გედირია; დედა! დედა!! რავა უშეელებლად ჰყვარებიხარ? აწი რა ოხრად დაარჩენს სხვის ცოლის სიყვარულსა, მარამ ალამ, რომ მოუტყოს უბედურს, იზდე დაარჩობს, რავარც წუწკ კატასა.

ოსანა. შენ ალას ხომ არა უკითხამსრა.

კვირია. მოგეცა ლეთის წყალობა იმან ქვე იცის ვი-ნცალა სიმონიკი დაერონიება, მე თვთ მითხრა ალამ ეზდე რომე, ცხვირ მოგთლი რავარც ნახამ და არ მეტყ-ვიო, აწი რაუქნა ალას რო მკითხოს?

ოსანა. (შეშინებული) მამა გიცხონდა არა სთქა, თუ გკითხოს, ტყუილიათქო.

კვირია. იიმე, რავა მათქმეიებ ტყუილსა ცხვირი მოვი ჭ-რა თუ? რავარც მკითხამს ალა, ხწორა ვეტყვი, მასთან ქვეც გამატანე წიგნი, და ქვეც მეეიტანე, ტყუილის თხო-გისათვს, ხუცესი თებს გადამახდეინებს შტრაფად.

ოსანა·(იქით) თავ დაჭერენილი, და კუდ გაბზეკილო აბა ეს არის აჲ, უყურეთ თუ ამ შეჩვენებულმა რა მიყოს [კვირიას] ის უფროცოდო არ არის, რომ მე მამკლას. ამალამ მოვა სვიმონი,

არა ეინა ნახოს, დამეხმარე მამა გიცხონდა.

კვირია. [იქით) რავარი უწმინდური ყოფილა ეზ უზე-დური, დასტურ მეიკლავს თავსა. (ოსანას) აპა რათ იზამ მაგისთანა უშველებელსა ალის მალვით, რავა არ გეშინია ჩამოღრძობისა.

ოსანა. არაფერია ოღონდა შენი კი ჩემკენ იყავე ფულს გაჩუქებ, ჩემო კვირიკე.

კვირია. ქეეც სულ მპირდები, მარამ ძუნწი ხარ, ძუნწი; აბა თუ ძუნწი არ ხარ მეიტა (მუცელზედ კელს იდებს]. ხომ უმზერ, რავა მიგოდრა ქართულმა პურმა,—ლომი და თებზი ვიყიდო, თვარემ მიგოდრამს მოჯუდები.

[ამოიღებს ფულს და მისცემს] აჰა! იყიდე რაც გინდა ჭამე.

კვირია (სიხარულით გამოართმევს] ღმერთმა შენიჭირი მომცეს ბატონო ქალბატონო, რავარც მე დემიკავე სიკვ-დილისგან, თვარა ქართული პური დასტურ გამთან-გავსდა.

ოსანა. წადი ახლა და ბეჯითად იყავ, რაც გითხარ იმ საქმეზედა.

კვირია. კი, დამირჩა თავი, მე ალა მოავატყუო? (იქით დასთვლის) ვოთხი აზბუყაა შე კაცო, წევიდე თებზი და ხიზილალა ვიგემო თვარა ერთობ სული დამებნევა. [ვავა კუხნით).

ოსანა. (მარტო] მელას მელა ერქვა და ტურამ კი სულ

ამოაგდოეო? ამ თევზის ნატრულსა, სანამ ფული არ მიეე დაბეზღებას მქალდა ტყუილათ კი არ არის ნათქვამი, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ენახო ახლა, სვიმონ!.. რა მოუწერია? (გახსნის და წაიკითხამს]:

ჩემო საყვარელო ოსან!

შენი წერილი მივილე, რომლითაცა განუზომელსა სიამოენებასა მიეცა გული ჩემი, ცხრა საათზედ ჩემს მანდ მოსლას იწერები, იფიქრე, თუ რა მოუთმენლად მოველი დანიშნულს დროს მოახლოებასა და როგორ ისწრაფიან თვალნი ჩემნი შენს ნახვასა. ახ! ოსან! რა გულ-მხურვალეთ გეტყვი ამჟლამ ჩემს გარემოებასა. სხვა რაღა მოგწერო.. შენი სვიმონ.. [დაჰკეცს და სტოლის უჯრაში ჩადებს] ორნი მწუხარებანი სწყლეენ ჩემს გულსა, პირველი მწუხარება ჩემი ის არის, რომ მტანჯავს უსამართლო ქმარი ჩემი და მეორე რომ, რომელიც მიყუარს ვერა ვხედავ ყოველთვს, არვიცი როდემდის უნდა ვიწოდე ამ გვარ გაუძლებელის ცეცხლითა. [გავა თავის ოთახში.]

### გ ა მ ო ს ვ ლ ა 4.

საამ. [შემოვა შუაკარით ჯოხზედ ბჯენით და იყურება აქეთ იქით) ეი! არავინა ხართ? სად დალუპულან? ვაი! ვაი! რა რიგათა მტეხს ეს გვერდი. (დაჯდება სკამზედ და გაა-

ფურთხებს) ფუ ბედო! ეს რა მამივიდა! რაღა ეს მინდოდა. ოო! რა საძ გელი და კაცის გულის მამკვლელი ხარ ქალა-ლდის თამაშობავ! წუხელის იმტელი ფულისაგან ცარიელი დამსვეს, ისე, რომ ჯიბეში თაგვებიღა მიჯირითებენ ახლა ქისა (ამოიღებს და აქნევს] აი, ისე ცარიელია ლამის ბე-ბერამ თავისი ქსელი გააბას, დილას ჯავრით გული მი-ლონდებოდა, ავდექ და გავარდი კარზედ სევდას მოსაქავ-რებლად უფრო სევდაში კი ჩავარდი, მდიდარ უსუფხანს მაშადიას არზები დაუწერე, მეგონა მამცემდა რასმეს, მაგრამ იმისთანა ძუნწი და ნავსი კაცი არ იპოვება ქვეყანაზედ არზის საწერში, ერთი მახინჯი ცხენი მამცა ეშმაკათ, რომ შევჯექ და წამოვიყვანე, წაიბორძიკა და ყირაზედ კი გადა-მატრიალა, ზედ დამაწუა, ეს გვერდი ძალიან დამიჩეჩქა, ვაი, ვაი! ერთი სიტყვით კინალამ მამკლა, ეს არაფერი, ახლა ბატონო, მოკვდება და გასათრევი ფული მოუნდება, აი, კაი დოვლათიანი საქმე, აი კაი არზის საწერი ფასი, მაგრამ, ვერც ისა ნახამს ხეირს ჩემი არზებითა, რასაც ჩივის, აქლემებს არა და ჯორებსაც ზედ დაადევს, ვაი! ვაი! ვაი! კიდევა მტეხს! ფეხის ხმა ისმის, ეს უთუოთ ჩემი ბაიყუში ცოლი იქნება.

## გ ა მ ო ს უ ლ ა 5.

### საამ და ოსანა.

საამ. [ოსანა შემოვა თავის ოთახიდამ) რასა იქ ოსან, რას აკეთებდი შენს ოთახში?

ოსანა· დამეხსენ ერთი თუ ღმერთი გწამს, ოთხ საა-თამდინ მშიერი სადილს მალოდინებ ეს რა საკადრისია?

საამ. ამისთჳს დაეიგვიანე დღესა, რომ უსუფხანთან ვიყავ სადილათა.

ოსანა. ქა, მერე, რა გაჭამეს?

საამ. სადილი ჩინებული, შენ არ მომიკვდე არ დასდია მახმადისაგან აკრძალულს ღვინოს მიითრო და მიწუა.

ოსანა, რა მიზეზი იყო, რომ გპატიჟობდა.

საამ. არზები დაუწერე იმ დათესა.

ოსანა. (სიხარულით] მართლა, აბა რა მოიტანე არზის დასაწერი.

საამ. მე მოვიტანე ერთი ყალბი ცხენი, რომელმაც დამჩეხა და აი ეს გვერდი კომშივით და მიბეჟა ვაი! ვაი! მღრღნის (იღრიჯება).

ოსანა. (იქით) ნეტავი კისერიც მოგეტეხა. (საამს) რახან ეგ რეა გაეყიდოთ.

საამ. არაფრათ არა ღირს, პირ იქით შენ მოგინდება ფულის მიცემა იმას გათრევაზე.

ოსანა. იჲ, იჲ, იი, რა კაი ფასათ ღირებულა, თუ მაგრეთი იყო, რათ გამოართვი?

საამ. რა ვიცოდი, დაჩულული, ბედაურსა გავდა; როენახე, რა ჩული მოვახსნევინე, მაშინ ვიცანი, რომ ქეციანი, ბრმა და ყრუ კი იყო, აგერ საქათმეში შეახირეს.

ოსანა. ქა! ჯორი აბია ჩვენი მებალისა, ხომ შეეყრება ქეცი, ვუი თვალი დამიდგა, ინდოურებს, ბატებს და ქათმებს არ გადაედოს.

საამ. გადაედებათ უთუოთ, მინამ სრულებით არ გადასდებიათ, ისა ჰსჯობს ინდოურები და ქათმები დავკლათ. ვირი კი გაეყიდოთ.

ოსან. უი, დამიდგა თვალები, ერთი ინდოური შენი ცხენის ფასია და მეტიცა.

## გ ა მ ო ს უ ლ ა 6.

### იგინიეე და კვირია.

კვირია. (შემოდის წუა კარით] ალა! აქანა, რო კაზახი დაეროწდება, იმან ქეე მიხმო და ეწდე მითხრა ალა მინ შევიდესო.

საამ. რას როხამ სწორეთ გამაგებინე, ეშმაკმა წაგიღოს შენცა და შენი რაჭაცა.

კვირია. მე უბედურს მისი სახელი დამებნია ბეტონო, ალავ ნუ მჯავრობ (ოსანას გადახედამს] სხუაც კაი სათხრობი მაქვს..

საამ· მე უფრო კაი ჯოხები მაქვს შენთვ'ს და თუ ჩქარა არ იტყვი მატყავესაც გაგაძრობ.

ოსანა. შეშინებული კილით ანიშნებს ჩუმათა და ეუბნება) არა სთქვარა ფულებს გაჩუქებ.

კვირია. [თავს დაუქნევს და ჩუმათ) კი მე ნუ მოუკვდე ჩემს თავს, კაი იქნება (საამს) რავა გამაძრობ ბატონის ჩემის პაპუნიკას ნაჩუქარია, აპა ეს ტყავი, რაეარც შენ გეყიდნოს ჩემთვს ფარით აწი ის გამაძრე.

საამ. (იცინის] მაშ რახან აგრეა, აღარ გაგაძრომ ძრიელ გიხდება, სხუასაც გიყიდი, ოღონდ მოიგონე, ვინ გაიარა.

კვირია. [იქით) უბედური, რაეა მიყიდის ტყავს იზდე გაკუტრდა, ერთი ცხენუკა უგდია, ვინცალა გაცვეთილ თანთალრს არზის საწერში მოუტყუებია, არ წაწყდეს ბაბუა ჩემი, არ ღირს სამ კაკალ აზუკათა [ალას კი, კი, აწი მეხსენა; ლევანს რომ უნობან, მის სახელსა, აპა ის იყო.

საამ. სადა ნახე?

კვირია. დროგით გეირონიეს აქანა [ხელს იშვერს) ქუჩაშიდა.

საამ. რა გადარეულს გადაეეკიდე? ბიჭო! დროგი რა არის?

კეირია. უ, უუ! რავა დეეიბნიეე, დროგი რავა მეხსენა! დროშკა რო არის, აპა, იმაშიდ მოეჯდინა ლევანს პომპოლიკი უშეელებელი ფეხეილი. (ხელს შლის] მე მეუნებოდა ალასთან ძალიანი საქმე მაქუსო.

საამ. ჰო, ჰო, ახლა კი მიეხუდი (კეირია გავა კუხნაში) უთუოთ ღენერალი და ჩემი მეგობარი ლევან იქნებოდნენ დროშკით გამოუელიათ.

ოსანა. რა საქმე გაქესთ ღენერალთან?

საამ. მე მამსვლია საჩუქრები ჩინები, პენცია.

ოსანა. (სიხარულით]: მამ, რო აიღებ პენციას, ხომ მიყიდი ახალ მოდის ტანისამოსსა?

საამ. მამინეე, ასე აგაყვაეებ, როგორც გაზაფხულის მრომანსა [იქით) ვაამო.

ოსანა. ჩქარა, წადი და ეცადე აიღო ფული, [იქთ] ერთი ჩქარა წაეხიროს.

საამ. დიახ, დიახ, ჩემო გულის ვარდო! [იქით] მგონია უფრო გულის დარდო. (ოსანას) წავიდე დამიგვიანდა, მშვიდობით (გავა).

ოსანა. ამისას ეშმაკიც ვერას შეიტყობს, მაგრამ ჯანი გავარდეს, რახან ფულს აიღებს, ახალი მოდის ტანისამოს მაინც გავიკრამ, (მდუმარებით) რავქნა! სეიმონი უნდა მოსულ იყო, ეს ჩემგნით დანიშნული ვადაც მესრულდა და არვიცი რათ დაიგვიანა?..

## გამოსულა 7.

ოსანა და სეიმონ.

სეიმონ. (შემოვა შუა კარით ფეხ აწყნარებით) ჩემ საყვარელს ოსანას ვახლავარ, რასა იქ შენი სულისა?

ოსანა. (მიეარდება] ოჰ, სეიმონჯან, შენა ხარ? რა ანბავია ასრე დამივიწყე?

სეიმონ. რა ვქნა, შენიჭირიმე, მოგეხსენებათ სამსახური, ძალიან მოუცლელობა არის, თორემ როგორ დაგივიწყებ, შენ ჩემს გვრიტსა.

ოსანა. ეჰ, ნათქვამია, მიზეზ მიზეზი დოს მარილი აკლიაო, საქმე სიყვარულია, სჩანს არ გიყვარვარ და მე კი მოცთუნებული ვარ შენის სიყვარულის ეშხითა, და თქვენ ასე უწყალო ხართ· ასე ცივათა ხართ, როგორც ყინული.

სეიმონ. არა ოსანჯან, გეფიცები ჭეშმარიტებასა, რომ ცივათ კი არა, შენი სიყვარული ასე ჩაგრზნებულია ამ გულშია [ხელს იდებს გულზედ] და მარად დღე მწუამს სიყვარულის ცეცხლის ალი, ისე როგორც სამთელსა, მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს და რა მამაგონდება ის დღე ოჰო! ჰო, ჰოო!. ძნელი მოსაგონია.

ოსანა. განა რომელი დღე?

სეიმონ. აღარც კი გახსოვს? შენმა სიყვარულმა და შენ გზაზედ სიარულმა შამწუხრა მრავალი, შენმა ქმარმა, კარგათ იცი, აი ამ სახლში დამჭრა სასიკვდილოთ, რომლითა ვიკვნესე უმეტეს ოთხი თვე.

ოჰ ჰო, ჰოო! კარგი შენიჭირიმე, ნუ მაყვედრი და ნურც მამაგონებ იმ ანბებსა, თორემ, ჩემი თვალები დაღვრის ცრემლსა.

სეიმონ. მე არ გაყვედრი, შენი სიყვარული დამათმო, ბინებდა კიდეც რო მოვეკალი, აბა სადღა უჩივლებდი, ხავქიოსა! მაგრამ ამას თავი დავანებოთ, რაც იყო იყო, ეხლა რომ მამასწროს შენმა ქმარმა რა გგონია?

ოსანა. ფიქრი ნუ გაქუს, ის წავიდა, მგონია ერთ კვირას აღარ მოვიდეს შინა, ხშირ ხშირად მპოებ მე ახლა თავისუფლად.

## გ ა მ ო ს უ ლ ა 8.

იგინივე და კვირია.

კვირია. (შემოვარდება შუაკარით] ქალბატონო! აღა მევიდა.

ოსანა. [დაფეთებული] ვაიმე, აბა რომელ კარიდამ მოდის?

კვირია. [შუაზედ კელს უშვერს) აზდეა, შე კაცო, ჩქარა, ჩქარა, თვარა, აა, წახდა კაკალი კაცი.

ოსანა, (იქით) ამ ქალბატონს, ერთი კვირა არ მოუვა ქმარი. [მიირბენს ხან ერთ ხან მეორე კარებთან] მასწავლე სადა, სად დავიმალო?

კვირია. [იქით] ვუბედურნი, რავა გეძირიენენ, დასტურ მოიკვლენ თავსა, [გავა]

ოსანა. აქეთ, აქეთ, მანდა გნახაეს, (თავის ოთახში შეიყუანს].

### გ ა მ ო ს უ ლ ა 9.

იგინივე და საამ·

საამ. [მემოდის მუა კარით] საკურეელი გულ მავიწყივარ, ბურნუთის კოლოფი დამრჩა სად არის მამაწოდე ოსან, (შეხედავს) რა დაგფეთებია, რას ყვითლდები?

ოსანა: გულ მაგრობით) არაფერი, მე..მე..შემეშინდა შენი ყეირილისა..

საამ. სტყუი, ძალიან სტყუი, აქ რაღაც ამბავია, აი, აი,

[უყურებს სახეზედ] განა არ გეტყობა სახეზე, შენ ეი ღე-ღაკაცო!

ოსანა. გენაცვალეთ, რა უსამართლო რამა ხართ, რა გინახამს ჩემი?

საამ, რა მინახამსო? ჰა, ჰაი, კიდევ ამბობენ, მართალი იყოს და,

ოსანა. რას ამბობენ? არ იტყვი? ის გასაწყეეტნი, იმათაც მოეკიდებათ ენაზედ ცეცხლი, ტყუილათ მოგონებისათვს.

საამ. კარგი, ენა მოიმოკლე, გეხუმრებოდი, სტოლს გამოსწევს, ბურნუთის კოლოფი აქ ხომ არა ძევს? [უჯრაში წიგნს იპოვის) ეს რა წიგნია [ოსანა სწუდება წასართმევათ] მამე აქა, შენ არ უნდა ეგ წაიკითხო [იქით) ვაი გამიწყრა ღმერთი?

საამ. (გახსნის და წაიკითხამს) ამას რას ვხედამ! წიგნი არშიყობისა, იმ მწერალი სეიმონისა, მოწერილი ჩემ ცოლთან. აბა ქალბატონო, რა არის ესა? ჰა! თითქო ფიცავდი და სწყრებოდი, როგორ გაბედე ამისთანა უკეთურება,

ოსანა. ]იქით) არ ვიცი რაუთხრა? (საამს] რა..ეგაა..ნუ ჰსჯავრობ ჩემთან არ არის მოწერილი.

საამ. ახლა ველარ მომატყუებ ქალბატონო, ფიცი აღარ მინდა, სწორეთ შენია, შენთან მოწერილია ეს წიგნი, არ გეშინიან სამართლიანის ტანჯვისა? რომლითაც თვთონ მე დაგსჯი, როგორც მოღალატე ცოლსა (კბილის ღრჭენით)

შე ტარტაროზის შვლო, ეშმაკის გვერდო და იმათს გულ-დში შენც აღრიცხულო, ქალის სქესისა სულ მემრცხვე-ნელო.

ოსანა. კარქი, ახლა გული დაიმშვიდეთ!

საამ. როგორ? ჩემი ნებაა ესე უნდა ვიჯავრო! მე შენ დაგადნობ ისე, როგორც თოვლსა მზე, შენს ძვლებს და ხორცს გადაუყრი მგელ-ტურათა საჭმელათ (საათს ნახავს და კითხულობს) ცხრა საათზედ გიახლებითო, ეხლა სწორედ ცხრასაათია, უთუოთ ეხლა აქარის. (გასძახებს:) ბიჭო! კვირიავ! წაიდე კარებები დაკეტო და ისე მოვანწყდიო, ახ! ერთი ხელში ჩამიგდო, როდათვერვით ყური დავადო (კლიტეს გაარბენინებს გავა).—

სვიმონ. [შემოვა შიშისგან დაფეთებული] შენი ქმარი სად წაიდა?

ოსანა. (შეკრთება) ოოხ! უბედური ბედო, რათ არ დამცემ მეხსა [სვიმონს) ვერა ხედამ? შენის გულისათვს ცხვარივითა მკლავს.

სვიმონ. მამიჩემის ალაპი ხომარა მაქვს, რომ შენისთანა ზვარა დაჰკლას, აბა სად წაიდე? რავქნა!

ოსანა. ოჰ, ხმა ისმის, მოდის, დაეღლუპებით ჩქარა, ჩქარა!! დაიმალე, აი, ამ სკივრში მეტი გზა არარის. .

სვიმონ. (ჩაიხედავს) ოჰ! რა საზაროა, დავირჩობი, ძალნო ზეციერნო! დამიფარეთ მე საწყალი დედის ერთა [ჩაწვე-ბა და დაჰხურამს.]

ოსანა. ეს კარგათ მამაგონდა, თაეისდღეში ვერ იფიქრებს ამის გამინჯვას. —

საამ. [შემოეა ხმალ შემოკრული] სწორედ მოვკლამ ეს არის ვერსად წამივა, სწორეთ აქ არის დამალული, ჩემს ხმალს კულავაც უსვამს სისხლი, ეს ხმალი იმისი ბედის მწერალია, იმის სულთა მხუთავია, (ოსანას) მითხარ სწორეთ! მითხარ, ეს წიგნი რომ მოგწერა, თითონაც მოვიდა თუ არა? გამოაჩინე შენის ნებითა?!..

ოსანა. დალოცეილო წიგნის გულისთვს, რათა მკლავ, უპატრონო ხომ არა ვარ!

საამ. ისე დგკლამ, როგორც თხასა! დაელრი შენს სისხლსა და დაეიბან ხელსა უბრალოებისასა, რომელმაც მოსწამლე ჩემი ბედნიერება. (შევა ოთახში და ისევ გამოვა ჯოზის რახუნით) ოხ! ერთი კელში ჩამიგდო ჩემი უბიწო სახლის შემრცხვენელი? შუაზედ გავკვეთ გავფლეთ? და იმისლეშითა, ვახარებ ყუავყორანთა! (კუხნაში მიდის რახუნით. —

ოსანა. (იქით) რაღა მეშველება! მრთლად გადირია! არ ვიცი როგორ დასრულდება!

საამ. [შემოდის კუხნით] არც აქარის ახ! ერთი იმისი სისხლი, რა ძვირათ ღირს? (ოსანას) რატომ ხმას არ ამოილებ შეუზრდელო?

ოსანა რაესთქუა, რო არ მიჯერებ, აბა რანახე? ხო მიხვდი ახლა რომ მართალი ვარ?

საამ. (იქით) მართალს ამობს, ეს კი სწორეა, არსად რა სჩანს აბა რა უყო? (დაჯდება) (ოსანას) მართალი ხარ, ეგრე სჯობია! სიმართლე კარგი რამარის? ამას თავი დავანებოთ რაც მოხდა მოხდა [გასძახებს] კვირიავ!

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 10

იგინივე და კვირია.

კვირია. (შემოვა კუხნით) რას ბძანებ ალაგ ბეტონო?
საამ. (გახალებს გადაუგდებს) აჰა კარებები დაალე!
კვირია. [აიღებს] კი ბეტნო! ეხლავ. (გავა შუაზედ
საამ. ვახშმათ რა გაქვს?
ოსანა. ლობიო ისპანახის შორმორი...
საამ. სხვა ალარაფერი.
ოსანა. კიდევ ფლავი, თალიში ხახვი და რუსული წიწაკა.
საამ. (იქით( როგორ მეფერება. (ოსანას) ყოჩაღ? კაი საჭმელები გქონია! რას ბრძანებ, ხუანთქარს, რომ მიეართვა ისიც კი მინდომებს მაგ საჭმლებსა.
ოსანა. მე სულ ასე გაძლევ პატივსა, მაგრამ შენ კი

არ გიყვარეარ? (იქით] ნეტავი ერთი კარზე გაეხიროს, რო ის საწყალი ამოვიყუანო არ დაირჩოს.

საამ. ფიე, არ მიყუარხარო? განა სიყვარულს წინ რა უდგია? ასე მიყვარხარ, როგორც ძუნწს ბიძა შენს, ოქროები? მაგრამ უბრძანე ვახშამი მოგვიტანონ!

ოსანა. (იქით] ვაი გამიწყრა დაერთი, აბა რაღა უშველო იმ საწყალსა! [საამს) მოიცა ადრეა.

საამ. როგორი ადრეა, შიმშილისაგან ლამის გადვირიო, ეხლა გამაძღარი უნდა ვიყო და მეძინოს.

ოსანა. რა არის აგრე მოუთმენელობა, არც სადილის დროს უცდი არც ვახშმისას ხოლმე.

საამ. ახა ღმერთო ჩემო! სანამ შუადღის ზარბაზანმა არ დაიგრიალოს და მოლამ მეჩითში არ იყვიროს პურის ჭამა ცოდოა, რას ანბობ შიმშილისაგან მუცელში ბატებიეთ მიყიყინებენ და ზორია და ზორი, ჩემი თავიც სტუმრებით გატენილია და ვგრძნობ, რომ აბრახუნებენ, შიმშილი გაძლიერდა, აი მცასაც წითლათა ვხედამ გესმის?

ოსანა. (იქით] არ ვიცი რა ვუყო იმ საწყალსა დაირჩობა (საამს) ცოტა კიდევ მოითმინე.

საამ. (დაიყვირებს) დრო არის მეთქი, ღელაკალო? [სვმოს წაეძინება და ხურინამს) სუს! ეს ვისაა? ხურინავს! დასწყევლა ღმერთმა, (ყურს უგდებს აქეთ იქით).

ოსანა. [იქით] ვაი გამიწყრა ღმერთი! დაუძინია და ხვრინავს ახლა კი აღარ ვიცი რაექნა? [საამს] საქათმეში

ინდოური თუ ხურინავს.

საამ. რას ამობ! არავის ატყუებ, ინდოური განა იხვრინებს! ცილასაცა სძინავს, აბა ყური დაუგდე?

ოსანა. ნახეთ ამ წყეულმა საქმე არ წაიხდინა ძილითა, აბა რაღა უყო.

საამ. რაექნა! რა უნდა იყოს, აქ თილისმის მანქანება კი არა იყოს რა, [შინჯავს ყველასა, და ზანდუკს, რო სცნობს შორს გახტება].

ოსანა. (თმას იგლეჯს და იქით) ახლა კი დასრულდა ჩემი სიცოცხლე?

საამ. (გახსნის ზანდუკს და უყურებს ეს რა სურიელი უნდა იყოს? დასწყევლოს ღმერთმა! [ჯოხს სცემს ზანდუკს] ამოდი, ამოდი ქაჯი ხარ თუ რაღაც სურიელი?

სიმონ. (ამოჰყოფს თავსა თუალების ფშვნეტით) ვაი მე რა მომსვლია, სადა ვარ? (წაიხურავს ზანდუკს თავზევე]

საამ. (დაფეთებული გახტება) ეი მაზ! ეს უოუოთ ჯადოქარი, რამ არის! (ხლმის ყუით სცემს ზანდუკს შიშითა) ამოდი მეთქი რაღაც მაცთური ხა, თორემ ჩემი ხმალი პირ ბასრია, გესმის?

სვიმონ. (ამოყოფს თავსა თვალების წმენდით და იქით) ვაი ეს, ის ბნედიანი კაცი მადგია თავსა, რა დროს მომსვლია ძილი [ამოვა შეშინებული).

საამ. აა! ეს ის არის, სწორედ ის არის, რომელიც აქ კულავაც დამიბეგვია, ახლა კი გიცან, რა გინდა აქა ჰა!

სტატებს კელს და წინ მიათრევს რათ იჯექი ამ ზანდუკში, რას აკეთებდი? როგორ გაბედე კიდევ ჩემ ცოლთან. შე საძაგელო დადექი მაგრათ, ესარის მოდის ხმალი? შურის ძიებისა? ხმალი? დამთხეველი სისხლისა და ხმალი? რომელიცა შენს დედას დასუამს მწარითა, გლოვითა!

სვიმონ, (შიშით დაფეთებული იწევს გასაქცევათ, საამ იჭერს და იქით) ვაი, ესკაცი სწორეთ გაცოფებულა და ჩემი სიცოცხლე საეჭოა.

საამ. სად იწევ. დადექი მეთქი, ფეხი არმოიცვალო, თორემ შუა გაგკვეთ! (ოსანას) აბა ქალბატონო სად არის შენი ნამუსი? სად არის შენი ფიცი? რომელსაც ჰაერში ჰფანტამდი, ახლა რაღას იტყვი ჰა! არაგრცხვენიან! ახლაც შეგიძლიან უარყოფა, შენ თუალწინ მდგომისა? ჯერ მოიცადეთ ნახამთ, თუ თქვენ ხორცსა, როგორ დაეფლეთ ჩაიგდეთ ენა? მგონია ველარა სთქუათ რა გარდა ამაო ტირილისა! ტირილი არის ნიშანი გლოვისა! თქვენ იცით, ცოცხალი აღარ იქნებით მაგრამ აი გამიგონეთ ორთავე,— მე მიპოვნია ერთი აზრი, რომლითაც მორჩებით ჩემგან სიკვდილსა. (სვიმონს) რაკი კიდევ ჩემის თვალითა გნახე ჩემ ცოლთან აღარ შემიძლიან ავიტანო გავსწყვიტო კავშირი მეუღლეობისა, ეგრე გიყუართ ერთმანერთი, მე თან ხმავარ, ვიყო უცოლოდ და თქვენ კი ერთმანერთზედ იქორწინოთ. ქალბატონო [ოსანას] შეგიძლიან მეირთო ეს შენი სვიმონი, შენ უფალო, აბარას იტყვი, ამის ცოლობისასა, თანახმა ხარ თუ არა! სთქვი

ჩქარა! თორემ ხედამ ამ ხმალსა!

სვიმონ. [იქით] ახ ნეტა ერთი ხმალი მეცამქონდეს დუელს გავაკეთებდი, არკიცი რავქნა, (საამს.) მე არაფერი არ მინდა!

საამ. აჰა შენი ცოლი იყოს, [შეაგდებს მტირალს ოსანასა] წაიყვანე, მე აღარ მინდა თორემ სიკუდილზედ დაგაქორწინებ, გახდი ყაბული თავი დაუკარ ჩქარა!!

სვიმონ. [იქით] ოჰ! სად ჩავარდი! გავიქცე, ეგითუ ხმალი თავში მდოს თუ არა და რა გზა მაქუს [საამს] თანახმაებარ.

საამ. (ოსანას) შენ რაღას იტყვი, ქალბატონო?

ოსანა. მე, არა, არ ვიცი, დია...ახ.

საამ. გახდი თანახმა [დაუყვირებს] თქვი თორემ შენის სიცოცხლის დასრულების? მინუტია.

ოსანა. თანახმა ვარ მეტი რა გზა მაქუს. —

საამ. [სიამოვნებით] თანახმანი ხართ ეგკარგი და პატიოსანი, (იქით) აგება თავიდამ მოვიშორო, ეს საძაგელი ოჰ მაშინ რა მოვისვენებ. [ოსანას და სვიმონს] მაშ მიეცით ხელი ერთმანეთსა უნდა ჩაგაბაროთ თითონ მე მე, (კელიკელს ჩააელებენ საამ თავზე კელს დადებს): ამიერიდგან უკუნისამდე აღარა ირამზადოთრა და არ იყოთ მტერი პატიოსნებისა, ამინ. — ეს არის კელის ჩათელა და კიდეც მამილოცამს თქვენი ცოლ-ქრმობა. (იქით) ასე სჯობაან დახოცუასა თავთნთი დანაშაული თითონვეგადახდეთ, [სვიმონ

გაიქცევა და გავარდება შუაზედ, საამ ყვირილით გამოუდგება გარეთ კარებამდინ და მობრუნდება.)

საამ, ოჰ! გამექცა ის ეშმაკი. (ოსანას] გადი აქედამა და მერე შენმა თვალებმა გიწინამძღვროს, სადაც გინდა, [ოსანა ქოქოლას დააყრის და გავა თავის ოთახში.]

საამ. (მარტო] ოჰ! რაები ვნახე, კარგია არ დავხოცე, მიკვირს და მიკვირს! როგორ გაბედეს? ჰეი? შენ ჩემო თავო, ასე უნდა დამიბრიყონ? მაგრამ ეშმაკმა წაიღოს მაგისი სული? ამისთანა მიზეზი სასარგებლოა, მაინც ჯუარ-წერა ჩემი გადარეული იყო, და ეხლაც უნდა გადავრიო ეგ სატანა სწორეთ სატანა მოვიტაცე ძვირფასი მარგალიტივითა და სოფლის მღვდელმა დაგვაქორწინა გუარი და სახელი კი გამოვიცუალე და კელიც სხუა ჩაურთე გრიგოლ ამირანიძე მეთქი, მე შემიძლიან ავილო კელი, გავაგდო არ დამიწერია ჯვარი, წავიდნენ და ამირანიძე ეძებონ, მე ჩემი მეგობრის ლევანის რჩევას ვეთანხმები კაი მზითევიანი ქალი აუჩენია, წავალ და დავიწერ ჯუარსა, სწორედ ეს არის (გავა მარჯვნივ.]

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 11.

ლევან. (შემოვა შუა კარით, მიიხედ მოიხედავს] აბბე? ვაქო, რაზე გაუციებიათ ეს სახლი, აბა თუ სურიელი იბოვებოდეს ვინმე, იქნება ისევა სხინავთ, სწორეთ სძინავთ! კიარა ვინა სჩანს და! თუნდა კამბეჩივით ვიყროყინო, მაიც არავინ არის გამგონე,..აა! ფეხის ხმა მოისმის ვილაც მოდის.

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 12.

ლევან და საამ.

ლევან. ჩემს მოწყალეს საამს ვახლავარ!

საამ. ლევანს გაუმარჯოს, ოჰ, ნეტა იცოდე თუ რა სახით მიამა შენი ნახუა, მეტადრე ამ გაჯავრებულს დროსა,

ლევან. კარგი მამა თქვენი ნუ წაგიწყმდებათ, გაჯავრებას ნუ გამაგონებთ.

საამ. რაექნა ძმაო, ამ ბედისა ვარ და ასე უნდა ვიტანჯო, ასეთი რამ გარდამხდა დღესა რომ, ჭეშმარიტათ

თავი მაქუს მოსაკლავი.

ლევან. ეიმაჰ! მერე აგრეთი რა ნახე ვექო?

საამ. რა არა ვნახე, ამ სახელ გასაწყვეტს ოსანას შეუყვარებია ვიღაცა მწირალი სვიმონა, ეს მეორეთ მოვასწარქა, დავიჭირე მაგრამ კიდევ გამექცა!

ლევან. ეგ უკეთესი, რომ ნახე არც ახალი საქმეა შეყუარება დალოცვილო ჭკვიანმა კაცმა საქმე კარგათ უნდა მოახერხოს, თორემ თავი რომ მოვიკლა. ვისრა დააკლდება.

საამ. ვერა მიფიქრია რა. ავილო ხელი ვაია და არა კიდევ ვაია.

ლევან. როგორ ვერა გიფიქრია რა! ვაი შენ ჩემო თავო! მაგრამ ეჰ! კაცი კი ვერას დაგაჯერებს და...

საამ. დიახ დავიჯერებ, თუკარგი რამიქმნება აბა დაიწყე!

ლევან. ვაქო, თუ გიყუარს ვინ გიშლის შეიყუარე, თუ გძულს მოიძულე, ამოიღე შენის გულისიგან და გააგდე შენგან, როგორც ეშმაკი, აბა რათ იკლავ პატიოსან თავსა? დაუჯერე ამ შენს ერთგულს მეგობარსა, ზეზეულათ ხომ ვერ ჩამოხმები, პირის სახეც გაგყვითლებია მანდერა, გეტყობა არ გეყო, მე საქმე გარიგებულიცა მაქუს, იმ წინაზედ, რომ გითხარ, კაი ქალი და ბლომათ ფულები, წავიდეთ და გადავწერ ჩუმათ ჯუარს!

საამ. ეგ რა გაქნია? უჩემოთ გილაპარაკნია ქალზედ, ხომ პასუხში მიმცემენ.

ლევან. რის პოლისუდი, იმათი გეშინიან შენ მხდალო, ეს ბედი არ დაიჭკარგო.

სამ. ძრიელ ძნელია, ქვეყანა ჩამქოლავს, რას იტყვიან კაი კალხნი?.

ლევან. რაც უნდათ თქუან, ჯვარი რო დაიწერე მე მეჯუარეთ არ ვიყავ, გვარი და სახელები გამოეიცვალეთ ხოჯამ, თუ გმაოიკითხევენ მაშინ ხომ გაიგებენ, რომ თქუენ ამირანიძე არა ხართ, და მებუმბულაძე.

სამ. [იქით] ოჰ! რა ცეცხლში ვარ, [ლევანს) ზითვის ფული რომ შემომეხარჯა ოსანასი?

ლევან. რას წაილებს, ატკაზი უყავი, სუდით გედაოს, მაგრამ...მშვიდობით, თუ არ გინდა შენი ნება, [მიდის).

სამ. (იჭერს] მოიცა გული დარდითა მაქუს სავსე, კიდევ ვიფიქროთ.

ლევან. რაიქნა! მტერი ხომ არა ვარ, კეთილს საქმეს გირჩევ.

სამ. (წამამხტარი მხიარულად] როგორც უნდა იყოს თანახმა ვარ, დაჰკარ კელი, რახან გაგირიგებია შეერთამ, სწორეთ შეეირთამ, ახალი ყველა კარგია, მომეტებით ახალი ცოლი იჲ, იჲ...მაგრამ როგორ მოვახერხოთ?

ლევან. აი ასრე ოსანას კარგა თავი მოუქონე, ასე რომ, უჩვენე გულითადი სიყვარული, რათა გშურს თეთრი კბილი შავი გული, ამ ყალბობას ვერ შეგიტყობს, მერე უთხარი, ვითამ შამახას გამწესდი და მიდიხარ, გამოესალმე წავი-

დეთ და ქორწილის საქმეს შეუდგეთ.

საამ. მეტი გზა არ არის, ეგრე ავასრულოთ სწორეთ, სწორეთ ეგრე კარგია.

## გ ა მ ო ს უ ლ ა 12.

იგინივე და ბალდასარ.

ბალდასარ. (შემოვა შუ კარით) კნიაზებს გაუმარჯოს.

საამ. აა! ბალდასარ მინაიჩს ეახლავარ, როგორ მშვიდობით გიკითხო?

ბალდასარ. ეჰ, კნიაზჯან? რა მშვდობა ბეერას დარდისაგან ლამის დავარდე.

საამ. რა ამბავია, რა დარდი?

ბალდასარ. ჩემა მზემა კნიაზდა ჩემოდენა დარდმა კაცი არა აქუს, ჰამ ჩემი დუქანი ქურდი დაამტვრია წაიღო, ჰამმე ზარალმა ვქენი და უფულო კუტრი, ჰამ ერთი ბალი ორთა ქალას წყალმა წაუღია, ერთ ყალმით დავილუპე, დბეილუპე რალა.

საამ. წყალსა და ქარსა პოდსუდში ხომ ვერ მისცემ [იქით] ახლა რალა ეშმაკი გაიცლის ამ სატანას ჩამო ამვალსა.

ბალდასარ. ჯანი დაეარდეს ყეელასა, ჰამა ხათა ეს არის რომ ცოლს აღარ მანებებენ.

ლევან. როგორ? განა ვინ წაგართუა ცოლი?

ბალდასარ. კნიაზის მზემ ორი ცოლი წამართვეს ჰა!

ლევან. რას როხამ ორი ცოლი რაამბავია, კარგათ უქნიათ, რახან წაურთმევიათ,

ბალდასარ. ინჩე ასუუმ, ახარ დალოცველო, ჯერ საქმე გაიგე და მერე ბძანე, ვა ჩემი დარდმა არ მეყოფა.

ლევან. ხა! ხა! ხა! ორი ცოლი მყუანდაო, რა სასაცილოა. (იცინის] თუ ორივ ჯუარ დაწერითები იყუნენ და წართმევას დაგაჯერეს, რაღა გინდა თუ არა და შენც სხუა შეირთე?

ბალდასარ. ახარ ეგ ძალიან კარგი, ჰამა დასტური, რომ არ მაძლევენ შევირთო? ამბობენ თუ ორი ცოცხალი ცოლი აქუსო.

ლევან. კიდევ? ორი ცოლის ერთათ შერთვა არ იქნება მეთქი? მაგისთვის ტყავსაც გაგაძრობენ აბა რათ დაჩუმული ხარ ოროლსა, მაგრამ ერთი მითხარ, რა ცოლები გყოლია?

ბალდასარ. აი გითხრამ ყური მოაგდე აქეთ, ერთი ლამაზი და კეკლუცი ქერივსა ჯუარი დავიწერე? იმისმა ქმარმა ლეკებში დაკარგული იყო, ამბობდენ, თუ მკუდარიაო, ვნახოთ ცოცხალი მოვიდა, ყალ-მაყალი ქნა, თუ ჩემი ცოლიაო, წამართუა და წიიღო.

ლევან. მერე?

ბალდასარ. მეორემ სხუა დაინიშნე უკეთესი მშვინიერმა ჰამა, რომ ვირთამდი მითხრეს: თუ ავიქცევისა არისო, აღარ შევირთე, მერე ჩემი რამეები მიტანილი ნიშნისა ვთხოვე და აღარ მომცეს.

ლევან· მერე, რომელს უფრო დაობ?

ბალდასარ. ვა, ორივეს დაეი დარაბაში ვარ, ვა ჩემი ცხოვრება იქ წაშილია!..

საამ. კარგია გაათავეთ საქმე მაქუს! (იქით] აბა რაუყო, მე ერთი ცოლის დარდი მაქუს ამას ორისა.

ლევან. ცოტა მოითმინეთ [ბალდასარს) დაასრულე, მე ვიცი ორივესგან ცარიელი დარჩები, ის არა სჯობს ის უქმრო შეირთო?

ბალდასარ· ეჰ, იმათ აღარ მაძლევენ, ამობენ თუ ტყუილი ჭორები მოიგონეო.

ლევან· აკი ვთქვი, მაშ სხუა შეირთე.

ბალდასარ. გე — ბნები, დასტური არ მაძლევენ მეთქი დავა!

ლევან. გაგონილა! სადა სჩივი და ვინ არ გაძლევს დასტურსა?

ბალდასარ. ინჩე ასუმ? ჩვენი, ვანქის მიღდისა კარაპეტა, კაი ჰესაბიანი ვინმეა იმან თქუა, თუ დასტური არ იქნებაო.

ლევან. [წამოხტება] შენც შეგარცხვინა· შენი მიღდისა დავაცა და ჯალობრაცა, კაი დავა შენა გცოდნია!

ბალდასარ. (იქით] ინჩი ასუმ, ესოვეტო?

საამ. მე გირჩევ იმ დანიშნულს კელიდამ ნუგაუშვებ, თორემ ინანებ.

ბალდასარ. ახარ, კნიაზო! როგორ მეეირთო დალოცვილო ამბობენ, თუ ფინთი ქცევისა არისო. [წუწუნით] ის საათი დაილუპოს, როცა მე იმაზე დავინიშნე ჰა, მერე რა კნიაზჯან სუფსარ ქისობის ღამე იყო თურმე ქუმელი უჰამია და სიზმარში ვინმე ვაჟი წყალი დაალევინა, ახლა ამბობენ თუ ის უყვარსო მე აღარა.

ლევან. ფიქრი ნუ გაქს იმისი დედაც ეგრეთი ყოფი-ლა და რომ დაბერებულა კარგის ქცევისა გამხდარა შენც მამაცხონებულო მოუთმინე სიბერემდინ და მაშინ იქება ისიც კაი ქცევისა.

## გ ა მ ო ს უ ლ ა 13

### იგინივე და კვირია.

კვირია. [შემოვა შუაკარით] ალა ერთი ვინცალა პოპოშნიკი მევიდა და მჯავრობს.

საამ, რა აქვს საჯავრელი, ხომარ უთხარ, თუ შინა

კარ?

კეირია. რაცალა პრუსულს უნობს, მარამ ეხლე ქეე შო უტყე ცხენუკაზე მჯაერობს. —

საამ. როგორ ცხენი?

კეირია. მეკედა ბეტონო უბედური, ნალებიც ქეე აეყარე.

საამ. რა ეშმაკმა მოკლა, ჯირითობდითუ?

კეირია. იიმე, რავა ჯირითი, ქუჩაშიდ კელით მეკაეა და ეხლე ვარონიებდი, მარა თავი ეერ შეიკავა უბედურმა, წეიქცა და ერთობ სული მიატოვა.

ბალდასარ. ვა, აილე და გადაგდე ელი!..

კეირია. რავა დეეიკაებ ხელმიდა უშეელებელ ფსხეილსა და ქეციანსა. (ალას) ალა აპა პოპოშნიკისას რას ბძანებ?

საამ. (ლევანს ჩუმათ) ცუდიარ იქნება დაეაშუროთ ჩვენი საქმე, ამას გაესტუმრებ, ჯოჯოხეთში, სანამ შენ გადი, ოსანა ნახე შენებურათ, როგორც იცოდე და შემოიყვანე, შეარიგე. —

ლევან. მეც ეგ უნდა მეთქუა, ეხლავ შემოვიყვან. (გავა.)

საამ. [ბალასარს) გთხოვთ გაისარჯოთ და ნახოთ ჩემმაგიერათა ეილაც აფიცარია. —

ბალდასარ. კარგი იქნება ეხლავე გავალ და დაურუსულებ (გავა მუაზედ.) —

საამ. ძლივს გავიცალე ეს წყეული, ახ, როდის იქნება სული გავახწიო აქედგან.

## გამოსვლა 14.

იგივე ლევან და ოსანა.

ლევან. (მემოდიან კლავში კელქერით და ჩურჩულით]: დიახ, დიახ, სწორეთ როგორც გინდა'..

საამ. (იქით) აი, ეშმაკმა წაიღოს შენი სული.—

ლევან. [ოსანას არა ფერია, რაუყოთ, ცოლქმარში რაც მოხდება შეიძლება მიტევებაცა, ნუ გრცხვენიან, მოდი შეგარიგოთ (საამს ჩუმათ], შენც მოიხარე თავი, წინ წამოდი.

ოსანა. ვაითუ გაჯავრდეს და თავისებრათ გაცხარდეს მერე.

ლევან. ფიქრი ნუ გაქვს მეაქარა ვარ, მოდი მეთქი, მოდი სთხოვე მოტევება, დაიჩოქე!

ოსანა. (მივა ახლო დაუჩოქებს საამს] მაპატიეე ბატონო ჩემი სიბრიყვე, გაძლევთ პირობას, სხვა კაცს აღარშევხედო.

საამ. (იქით] სიბრიყეე მაპატიეო, საკურელად გაუძნელდება პირობის დარღვევა. (ოსანა[: ადექ კარგი, რაც იყო,

ალარც კი მახსოვს, თავი დავანებოთ, სულ მიპატი ვებია ამათის ხათრისთვას? მაგრამ, ფუჰკეშმკო; სულ გადა ვირიე დადამაეიწყდა.

ოსანა. [ადგება.) რა? აბა ბრძანეთ!

საამ. აი ამათ მამიტანეს მოწერილობა რომლითა შამახიას ვეზდში პრისტავათ გაუმწესებივარ დამგზავნიან საჩქაროთ დღესვე, მგონია არ შესწუხდეთ, ცოტა ხანს მარტო ყოფნითა

ოსანა. როგორ ასრე უეცრათ გაგონილა!

ლევან. ნუ სწუხართ, თქვენც მალე წაგიყვანთ.

ოსანა. (იქით) ჯერკიდევ ეშმაკმა კისერი ვერ მოსტეხა [ლევანს) თქვენც მიბრძანდებით?

ლევან. დიახ მივალ, სად მოვშოდები [საამს) ფოშტა მზათ არის ნულარ ვიგვიანებთ.

ოსანა. რო მიდიხარ მერე მე?

საამ. შენ ფულებს იქიდამ გამოგიგზავნი.

ოსანა, მე ეხლავ მიჭირს ფული, ერთიც ვნახო გზაში ლეკებმა მოკლან, მერე მე ქვრივი გავხდე?

ლევან. ფიქრი არარის შენც კარგათ იქნები!

ოსანა. ქა! მაშ ალარა ხუმრობთ, ეხლავ მიდხართ?

საამ. მაშ, გივიბძანეს, რომ ჩქარა წავიდეთ, ნეტა ხომ ყველა მიმაქუს. (იცუამს და ბოღჩაში და ჩამადანში აწყობს, წიგნებსა ქაღალდებსა და ტანისამოსსა.) აჭკიდებს, კვირიას [ოსანას] გემის! ნუ ინაღვლი, წიგნსა და ფულსაც მალე გამოგიგზავნი, [იქით] დარდ გავსწევ, თუნდ ნაღველაც გაუსკდეს;

ლევან. აბა წავიდეთ, (ოსანას] მშვიდობით ქალბატონო.

ოსანა. რაგაცწყობა, რომე მიჴვალთ, მშვიდობით ბატონო!

საამ. მშვიდობით, ჩემო სულის ანგელოზო! (იქით) უფრო ჩემო სულის ეშმაკო, მშვიდობით. მეორეთ მოსვლის მკუდართა აღდგომამდინ და მაშინ კი გნახამ. (გადიან შუაზედ და თან გაჰყვება კვირია),

ოსანა (მწუხარებით) ოჰ! თქვენ გასაწყვეტნო, მენახოთ ერთი მეორეს ნაწლევებზედ ჩამომხრჩვალნი. (დაესვენება სკამზედ შეწუხებული ფარდა დაეშვება.)

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა   მ ე ო რ ე.

საქორწილოთ და მდიდრულად მორთული ზალა, ნიკოლოზასი, მარჯვენივ ოთახი და მარცხნივ კუხნა, შუაში საზოგადო კარი, ტახტი ხალებით დაფენილი, სტოლი რომელზედაც აწყვია ქაღალდები და საწერ კალამი, ანგარიშის ჩოთქი უჭირავს ნიკოლოზას კრესლოზედ ზის, სტოლს მისჯდომია, რაღასაც ანგარიშობს. ფარდა აიხდება.

## გ ა მ ო ს უ ლ ა 1

ნიკოლოზ. ჩურს ჰინგ, ესელ ქსან, ეიცუნ ჰარურუ, ესელ ჩურს ჰარურუ. [ადგება] ეა! ხათაე, ცხოვრება სულ ჩემი ქალმა მიაქუს მზითევში, მე რაღა ჯორის თავი მრჩება, ახარ, ახ! ეს ინჩკრაკელი. ქალის გათხოვება რა დიდი ხათა ყოფილა! მახლას ეს სულ ჩემი სიდედრუას ბრალი კია ჰა! რო კუდებოდა ანდერძი ქნა იმ ქოფაკმა: ლოლასა ჩინოვნიკს მიეცითო, ახლა ჩემი ცოლიც ამბობს: თუ არ ჩინოვნიკი სხვას არ მიეცემო, დედის ანდერძი არ გავტეხოთო? ის კი არ იცის, რომ ლამის გაკუტრების ბარაბანდი დაუკრან ჩემ თავზედ.

## გ ა მ ო ს უ ლ ა 2.

ნიკოლოზ და რიმსიმე.

რიმსიმე. [შემოვა შუა კარით, ქაქაქანით მოიხსნის ჩადრსა და დაჯდება] უჰი გენაცვა, დავიღალე...

ნიკოლოზ. ინჩხაბარე რიმსიმეჯან სად იყავ.

რიმსიმე. დაიცა ალაჯან, ქუ მატალ, დალალულივარ, აზარ ჯერ დავისვენო, მერე ერთი კაი ანბავი ვიცი გე-ტყვი.

ნიკოლოზ. ვა, რა ამბავი იცი? ჩქარა თუ კარგი რამ არის.

რიმსიმე. ყური დამიგდე ალაჯან, ახლა კი გეტყვი: ჩემის ქმის ცოლმა მითხრა, თუ ხარფუხში კაი მკითხავი გაჩე-ნილა, ასუმე ყველას გამოიცნობს ასუმე, მერე მე ჰაი არათ ყადიფა დავიხურე, წაველი და ვაკითხე, ასე მითხრა, თუ ალაჯან! ის კნიაზი ჩუმნ რომ გვინდა, შეირთავს შენ ქალს ლალუას ასუმე და ბედნიერმაც იქნება ასუმემ სამკითხა-ვო მივე და მოვრბივარ სიხარულით·

ნიკოლოზ. ფიე! ბას შენ გგონია მე კაცი არ ვიცნობ? თავში რეტები მივლის თუ, (თავზე] აქ ჭკუა არა გგონია! საქმე სულ გარიგებულია კიდეცა და·

რიმსიმე. მართლა! მენ პირს, ემე, ალაჯან! შაქარი.

ნიკოლოზ. ჰამა რიმსიმეჯან, შუამავალმა, ჩემა მზემა სა-მოცი ოქრო სამარჩაკლო წამართვა ჰა! ვა! დავიდარაბა გა-ხადა·

რიმსიმე. ჯანი დავარდეს, საქმე ხომ კარგათ გააკეთე.

ნიკოლოზ. გებნები გავაკეთე, ახარ თაედარიკი რამე ვქნათ ამალამ ქორწილია, ქალმა გამოიყუანე ახარ, ვაკითხოთ ყა-ბულეთე ჩე.

რიმსიმე. ძრიელ კარქი მაშ ეხლავე გამოეიტან და ვაკი-

თხოთ იმანაც, (სიხარულით შეირბენს ოთახში].

ნიკოლოზ. დედაკაცია რაღა, დარდ გასწყვეს თუ მე კუტარი ცოქნები, მახლას რა გინდა რომ ქნა უფულოთ რა გაკეთდება, ჰაი გიდი დოვლათო, დოვლათო რა ხარ? ჩემა მზემა და რამტელიც ვგზავნე ჩემ სიძუასთან, თუ შერთე რაღა მეთქი? ასუმინ თე ჩიმუზი, და ჩიმუზი, მერე მე ვთქვი ჰა ჯანი დავარდეს ოთხასი თუმანი ქრთამე, მაშინ სიხარულით კინალამ დავარდა, ყელზედ მამეხვია, მითხრა თუ ჩემი მამა ხარო. მერე მეცა ვსთქვი იმასა თუ, მაინც ვაჟი არა მაქუს და იყავი ჩემი შვილი მეთქი, მე ჩემ ლოლუასაც მეგრთამ მეთქი, გულზედ მივიკარ პაჩი უყავი და გავხდი იმისი მამა.

## გ ა მ ო ს უ ლ ა 3.

რიმსიმე, ლოლო და ტასიკა.

[შემოდიან მარჯვენივ ოთახიდამ, ტასიკა ლოლოს უსწორებს თავსა და ტანისამოსსა და სიხარულით მურაოს უქნევს ხან იმას ხან თითონ]

ნიკოლოზ. დილა მშვიდობისა, ჩემო გულის ვარდო, ჩემო, ჩემო მარგალიტის კუნწულავ! მოდი დაჯექი ჩემთან შვილო და მითხარი, კარგი ქმარმა, რომ გიშოვნო, გინდა თუ არა?

ლოლო. (მორცხვობით) რა მოგახსენო მამავ მე..რა..ვიცი..

ნიკოლოზ. ახარ რა სირცხვილია, ასა ელი ვა! ამაზედ მეტი რაღა გინდა პამ დიდი კაცმაა, ჰამ კნიაზმა არის, საქმე კიდეც გამითავებია.

ტასიკა. ამასაც კარგი და კნიაზი უნდა რა ფინთი რათ უნდა?

რიმსიმე. ლალოჯან, გენაცუალოს დედა, ჯულაბი მიეცი მამასა, ახარ რა სირცხვილია.

ლალო. რა მოგახსენო, მამავ, რაკი ხედამთ ჩემთჳს ბედნიერების გზასა, როგორტ გნებავთ...

ნიკოლოზ. ჩემი ქალმა სწორეთ იადონე და ბულბულე ჰა, სულ ყმარწვილია ჯერ, სამოთხის გაუშლილი ყვავილიაჰა. —

ტასიკა. თქვენმა მზემ სწორეთ მშვენიერს ყვავილს, რომ იტყვიან ისარის; ნეტავი იმასავინცამას წაიყვანს, შენიჭირიმე არა იცის რა, რაც ქვეყანაზედ კარგი დაკეთილი, რამ არის სულ მისწავლებია, სწორეც მეცნიერია. —

ნიკოლოზ. გამდელო! ერთი მითხარ, სიხარულმა არმოგდის? ლალუას გათხოვებაზედ, ჯერ თხუთმეტი წლისა არის თუ ვერა? —

ტასიკა. უი, ქა! თხუთმეტი ძირდიდა გამომივიდეს, თუ ეგ თხუთმეტის წლისა იყოს; აი მოგახსენებ პირველი ხოლერობა, რომ იყო? მაგრამ არა, ჰო, ჰო, მამაგონდა ალავ შენ რომ დაღისტნის ლეკებმა დაგიჭირეს და წაგიყვანეს, ოთხი წელიწადი, ხომ იქ იყავი, როცა განთავისუფლდი ტყვეობისაგან და მოხველი შინა, ორი წლისა და რვა თვისა

იყო, მაშინ ეს კუდიანი..

ნიკოლოზ. ეა, რადროს ჩემი ლეკების დაჭერის ამბავია —

ტასიკა. ისე, მამაგონდა ჰო,, რას ვამბობდი?. ისევ დამავიწყდა. უი დამიდგა თვალი, რა ეშმაკი მტაცებს სიტყვასა, ფუ ეშმაკო ჰო, დიახ, დიახ, მამაგონდა ეს კუდიანი ესა აი, მაშინვე ეტყობოდა, რომ ჭკვიანი ქალი გაიზდებოდა. (ამოიოხრებს) ნეტავი იმდღესა, ბატონო, ჩემი ქმარი მაშინ ცოცხალი იყო, იმ ცხონებულმა რო აიყუანა ხელში და აკოცა, ახ! ნეტავი იმდღესა, ნეტა არ მოკუდარ იყო, მერე რა ბრძენი კაცი იყო? არგაგონილა! იმისთანა, ერთხელ ეჭირა ხელში, ულერსებდა და ამალერსობაში გაუვარდა კელიდამ და შუბლი კი ალაგს დაჰკრა, საცოდამა ჩემმა ქმარმა დაიყვირა, ეგონა აუტყდა რამეო, ერთბაშათ კელშივე აიყუანა ესაყუარლია, ეთაყვანა და კალთაში ჩაისვა, ამ ნიშვით რომ ერთი კომში მისცა და ჩააჩუმა.

ნიკოლოზ. გააბა, ახლა მოდი და დაჩუმე შენა, დაგვაცალე ვთქვათ რამე ქორწილისა.

ტასიკა. [არ ესმის] რო ჩაისვა კალთაში და ყმაწვილმა ტირილი გაწყვიტა, იმ ცხონებულმა უთხრა: ნუ გეშინიან ლალოჯან, ეხლა ხომ შუბლით დაეცი, როცა ქმარს შეირთამ! მაშინ გვერდზედ დაეცემი განაო? მაშინვე ამ კუდიანმა თავი გაიქნია ჰოიო? (ამოიოხრებს) ნეტავი იმდღესა მაშინ თქუა ჩემა ქმარმა ეს ძალიან ლამაზი რიჭიანი ქალი გამოვა და დიდი კაციც შეირთამსო, აი ბატონო ახდა თუ

არა, ჩემი ქმარის სიტყვა·

რიმსიმე. [აქამდინ უბღვერდენ ხან ჩურჩულობდენ] კაია, თუ ღმერთი გწამს გაათავე ერთი, ნუ დაგვიქლექე, შენი ტიტინითა, ჩვენ გკითხეთ რანდენი წლისა არისო, შენკი გააბი ჭიანურივით.—

ტასიკა. შე კურთხეულო, თუ შეტყობა გინდათ, ეგ ადვილი არის, ეგრე მითხარი და! როგორ არ ვიცი რამდენის წლისაც არის, ქიაკოკონობა, როარის კუდაანობა ღამე მაშინ არის დაბადებული, ამ ნიშნით ქალბატონო, რომ შენს დას იფუას რომ ვათხოვებდით, ჩუმათ ეილაც ბაზაზი, შეეყვარებინა, ეს ხომ კარგათ გახსოვს, რომ მოვაშობინე ეებერთელა ვაჟი და მერე დავაქორწილეთ სხუაზე და ისე მივატყუეთ, (ამოიოხრებს) ნეტავი იმდღეს ცხონებული ჩემი ქმარი სიცილით კინალამ მოკუდა, ბა, ბა, ბა, როგორ მოვატყუეთ იმისთანა ბეზირგანი კაციო.

ნიკოლოზ. (გაჯავრებით): ახრ, ხელს არ აიღებ დედაკაცო? არ დაჩუმდები, ვაი ხათაჯ?.

ტასიკა. ქაი ლაპარაკიც ხომ ცოდო არ არის, სიტყვის თქმაც ხომ ყადაღია არ არის, აი დავჩუმდი, ვნახოთ, რა შეგვემატებათ?

ნიკოლოზ. ტერასტვაც! ეს რა აჩვახი ვინმეა! ამისი ჩიჩინმა თავში ჭკუა დამიფანტა, რიმსიმე გამოდი ერთი ქორწილისათვის რამე ფიქრმა ვქნათ, (გავლენ მარჯვნივ.]

ტასიკა. მურაოს უქნევს ლალოს, შენკი გენაცვალოს შენი გამდელი ანასტასია, ნუ ნაღვლობ, ჭირი მოგჭამე, იცინე, იხარე, იმღერე დაითამაშე. აგერ პატარძალი გახდები დადედოფალი, თავს შემოგევლოს შენი ანასტასია ერთი მე მიყურე რომ შენი ლამაზის თვალების ყურებით გავძღე.

ლალო. გამდელო, ვიცი გიყვარვარ დაჩემი ბედნიერება გსურს, მაგრამ ჩემი ნაღველი სხვა რამ არის.

ტასიკა. უი, ჩემს თავსა, როგორთუ ნაღველი, ნეტარხსენებულის ჩემი ქრმის ცხონებამ, თავს მოვიკლავ (ყელისწყვეტით( მითხარ, შენ გენაცვალოს შენი ტასიკა, რა ნაღველი გაქვს?

ლალო. ეჰ, რავსთქვა, მაშინ, როდესაც, რომ არ მეგიძლიან ჩემ ნაღველს წამალი დასდო. —

ტასიკა. ქა! ეგ რა ეშმაკმა გათქმევინა, შენის გულისთვის ჯოჯოხეთში ჩავარდები დასაკირეშიაც შევალ, სულსაც ამოვიძრობ დაშენ მოგცემ სხვა რაღა ვქნა მითხარ?

ლალო. შენს სულს რას ვაქნევ, აი რასგეუბნები, შენ იცნობ სარქისა მურადოვს, რომ მედა იმას ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა დაჩემა დედმამამ არ მიმცეს, ახლა ერთი ვიღაც კნიაზიაო, იმას მაძლევენ, ვაითუ ვერ იყოს იმისთან კარგი ვაჟი როგორც რიგია დაიმისი ნაღველი მაქვს

ტასიკა. ქა! ეს რაღა გავიგონე, როგორ თუ, ვაჟი არ იყოს, განა ქალი ქალს შეირთამს, არა, ფიქრი ნუ გაქვს, ის ქალი კი არა ვაჟი იქნება, სწორეთ ვაჟი იქნება.

ლოლო. (იცინის) არა ეგრე არ მითქვამს, მე ის გითხარი ვაი თუ კარგი კაცი ვერ იყოს მეთქი.—

ტასიკა. ეგრე მითხარ შე კურთხეულო და, თუ კარგი კაცი არ არის, ვილაც ოხერია რათა გთხოულობს, რაში გვეჭირდება ცუდი. შენისთანა მზეთ უნახავს, რადგან ეგრე არის, აქ დავხვდები კარებში და არ შემოუშვებ სახლში, არა? აქედგან გავაგდებ, წავალ სარქისას ვეტყვი, რომ მოგიტაცოს წაგიყვანოს დაშეგირთოს, მემდადეთ გამოყვები.

ლოლო. არა? აგრე არ მეიძლება, თუ შენ ჩემი ერდგული ხარ, წადი ჩუმათ გაშინჯე, თუ კარგი ვინმე არის შევირთამ, თუ არა და არ მინდა.—

ტასიკა. (აჩქარებით) შენი ანასტასია მოგიკვდეს, თუ ეხლავ არ წავიდე და არ შევიტყო, [გასძახებს კუხნას]ბიჭო ბასილავ;

იოსებ ელიოზოვი·

[დანარჩენი შემდეგ ნომერში იქნება)

### ჰო, აი მეორეც რა გავიგე ლოტოზედ.

**1868**-სა **30** ნოემბერის ნუმერში, რომ მოგახსენეთ ექვსი ქალისა, იმ ექვსივე ქალს ხელი აუღიათ ლოტოზედ, და იმათგანი კი ერთი ქალი ისეთ მახეში ჩავარდნილა, რომ რვა წელიწადი უწევია და ველარ ამოსულა. ასე რომ ლუკმა პური ველარ უშოვნია. რა სავანე აღარა ჰქონიარა, ნათესავთან მისულა, რომ მიჰკედლებოდა, მას ნათესავს ის დედაკაცი არ მიუღია. მეორესთან მისულა, არც იმას მიელო. რაღა თავი შევაწყინოთ, არც მაზლს და არც დედიდას არ მიუღიათ, და მასხარათაც აეგდოთ და ისე გაუსტუმრებიათ. რასაკვირელია ორი დღე მშიერი უვლია, იმტენი, რომ ერთი ღვთის ნიერი კეთილ მობილი დედაკაცი შეხუედრია ე. ი. კაპიტნის ნაცოლარი. იმ დედაკაცს თავის გარემოება ყველა უამბნია ეს კაპიტნის ნაცოლარი დედაკაცი. რაკი ღვთის ნიერი ყოფილა! ის საწყალი დედაკაცი წაუყვანია თავისთან, ასე, რომ რვა წელიწადი იმ კაპიტნის ქვრივთან ყოფილა. რვა წლის შემდეგ უბედურება სწევია, და ავათ გამხედარა. რა ძალიან შეწუხებულა, ის კეთილ შობილი

კაპიტ. ქერივი, იმ ავანტყოფის ნათესავებს შეატყობინებს. ნათესავები არც ერთი არ ნახამენ. ეს ავანტყოფი ნატალია, ცამეტ თვე ავათ ყოფილა. შემდეგ ამისა მოკლეს ხანში ის დედაკაცი გადაცვლილა. კ. ქერივი ბარბარე იმ დროს თავის დასთან ყოფილა, ბარბარეს შვილი, შეშინებული საჩქაროთ დედას შეატყობინებს: დედავ, ნატალია გადიცვალა და ჩქარა წამოდიო; კ. ქ. ბ. მაშინათვე ლოგინითგან ადგება თუ არა მწრაფლ მინ მიიჭრება. ბევრს იწუხებს, მაგრამ ვეღარას უშველის. მიცვალებული სკივრზედ დასვენებიათ, დედიდასთვს შეუტყობინებიათ, დედიდა ამ დროს საჩქაროთ მოსულა. ახლა თქუენ აქ გაშინჯეთ. ჯერ მიცვალებულისათვს არ ჩაუჩოქნიათ, ცრემლი არ დაუყრია, და კ. ქერივს ბარბარეს მიეარდნია ატაცებულის სახით, და უთქვამს: ბარბარე! ამ საწყალს არაფერი დარჩაო.

ბარბარე როგორ არ დარჩაო, ლოტოში მოგებული ფული, თუთხმეტ თუმნამდინ ექმნება სკივრშიო.

ოსანა. მართლა! ბარბარე, მაშ კარგათ ყოფილა, არაუშავსრა.

ბარბარე. ჰო, ძალიან კარგათ არის შენს ჭკუაში.

ოსანა. როგორ თუ ჩემ ჭკუაში. მაშ ფული არ დარჩა!

ბარბარე. აბა ერთი იფიქრე, მე რო გითხარი შენ უნდა დაიჯერო, რომ ამას ფულები დარჩენოდა!

ოსანა. ვა! ვა! რას ანბობ, მაშ არა აქვსრა! თითქო თასაკრავების კრება იცოდაო, და როგორ დაიჯერო, რომ

ხელ ფასი არა აელოს რაო.

ბარბარე. თუ რამ ხელობა იცოდა და ხელ ფასებს იღებდაო, რატომ კარი არ გაუღეთ ნათესაობამო. შენ დიდი მადლობელი უნდა იყო, რომ რვა წელიწადი, ჩემის სულის გულისათვის, მე ვინახამდიო. იმის შემდეგ ლოგინათ ჩავარდა, და სამი წელი ძრომს უვლიდიო, და შენ კი მადლობის მაგივრათ, გამოქცეულხართ და ამის ქონებასა კითხულობო, რომ წაგეღო.

ოსანა. (მოწიწებით) ბარბარეჯან! ვითომ, ნუ ჯავრობ, მე ხომ არ გეჩხუბები.

ბარბარე. ვითომ საჩხუბრათაც რომ მოსულიყვენ, ვის უნდა ეჩხუბოო, ან შენი ამხანაგი ვინ არისო. შენ კარგათ იცი, პირველად ვარ კეთილშობილის ქალიო, მეორე კაპიტნის ქვრივიო, და შენ კი უკანასკნელის ხამაპანის ცოლი ხარო. ვითომ, რომ მეჩხუბო რას გაიტან ჩემგანაო.

ოსანა. არა, არა ვინ გეჩხუბება, ბარბარეჯან, გულს დაუმშვიდდიო.

ბარბარე. შენ ნუ მამიკუდები, თუ გული არ დავიმშვიდე, კისერზედ არ გადამახტეო.

ოსანა. კარგი ბარბარეჯან, რაც მოხლა მოხადო: ახლა არ დამარხამ, ბარბარეჯან.

ბარბარე. ვითომ რათ უნდა დავმარხოთ, რაც ამაგი გამიწევია იმაზედ რა მადლობა მივიღე, რომ მიცვალებულიც მე დავიმარხოო. იმიტომ შეგატყობინეთ, რომ თქვენ და-

მარხოთო.

ოსანა. გოგოს გასძახებს: ეი გოგო აქ მოდი... გოგო შემოსულა და ქალბატონისათვს უთქუამს რა გნებამდათ?

ოსანა. იცი რა? მოდი ეს განსვენებული აიღე და პოლზედ დაასვენე რომ ამის დანარჩენით დავმარხო, რა ოსანას გოგო მიცვალებულთან მივა, რომ მიცვალებული პოლზედ დაასვენოს, ამ დროს ბარბარე გულ მოსული ეტყვის ოსანას ეგ ახალი მოდა შენ მემოიღე, თუ სხუამ გასწავლაო.

ოსანა. ბარბარეჯან, რათა ჯავრობ, გოგოს ის უთხარიო, რომ ჩემი და პოლზედ დადოს, ერთი ვნახო რა აქუს, რომ ბალქამ იმ დანარჩენით დავმარხოო.

ბარბარე. როგორ თუ მიცვალებული აიღოს! განა მიცვალებული უნდა დასძრას! შენ იმდენი ჭკუა არ გიჭრის, რომ მიცვალებული არ დაიძვრის! შენ გინდა, რომ როგორც ცოცხალი გყოლიათ, ახლა მიცვალებულიც ისე დასტანჯო!

ოსანა. მაშ რითი დავმარხო, თუ არ ამის დანარჩენით ვა! ეს ინჩხრაკე!

ბარბარე, მაშ აბა გაბედე, მიცვალებული მანდედგან დასძარი, და მაშინ ნახამ შენ თამამას, თუ ეხლავე შენს არქიელთან არ გიჩივლოო.

ოსანა. ვა! ვა! ეს ინჩე ასუმ! მაშ რავქნა თუ ასე არა ვქნა.

ბაბარე. თუ შენი და არის, და მოსულხარ შენ დასთან,

ისე უნდა დამარხოთ, როგორც თქუენ პატიოსნობას ეკადრება., და არა მაგ ტანჯვით, როგორც თქუენა სტანჯამთ მაგ საწყალსა. და ჩხუბი და დავიდარაბა გაქსთ, ან რა ჰქონდა, რა დარჩენოდა, რომ შენ მაგის დანარჩენით დამარხო.

ოსანა. მე ძალიან მიკვირს, რომ არა დარჩენიარა.

ბარბარე. მაშ შენ არა გჯერა, რომ სრული რვა წელი წადი მე ვაცხორებდი!.

ოსანა. კარგი, კარგი ნუჯავრობ, როგორც იქნება უნდა დავმარხოთ ნათესავებმა ,

ბარბარე. თუ ნათესაობაც არ შეაწუხე, შენ კი არ შეგიძლია ამის დამარხვა? ჰო, არა გაქვსრა, ძალიან მესაბრალი ხარ და ნათესავებიც მოიმხრე, რა თავს ისაწყლებ, გიცნობ რაც ხარ, ან რა შეძლებაცა გაქვს, ამასაც გეტყვი, თუ შეძლება არა გქონდეს; ოთხ ატაჟიანი სახლები არ გექნებათ, შიგ არ იდგებით გოგო და ბიჭი არ გეყოლებათ. მაშასადამე აქა სჩანს, რომ ერთ აბაზზედ იწვით და იდაგებით, ასე, რომ ჯერ შენი დაც, რომ არ იყოს, და მენი მეზობელი იყოს შეუძლებელია, ისიც უნდა დაამარხვინოთ მდიდრებმა, ამისათჳს, რომ შემძლებელს ვალი აქვსთ მარად გლახა გაიკითხონ; და ხელი გაუმართონ, და არა შენ დაზედ მაგნაირი ილაპარაკო.

ოსანა. ეჰ მახლას, შეძლება გიაქს, მაგრამ, იმტენი შეძლება არა გვაქს, რომ ყველა მოეიმადრიელოთ.

ბარბარე. კარგი, კარგი გეყოფა ჩემთან მაგისთანა ლაპარაკი.

ისტორიებს ნუ ლაპარაკობ დროება მიდის, მიცვალებულს სული დაეცა და შინ ველარ შევსულვარ; ჩქარა დაამარხვინეთ, და თუ ეხლავე ოთხ მუშას წავალებინებ უტერტეროთ.

ოსანა. გეთაყვანეთ, ნუ ჯავრობ! ნუ აი ეხლავე გოგოს გავგზავნი, მაზლსა და ჩემ ძმას შევატყობინებ, და რამ წამ მოელენ ჩქარა იქნება მაგის დმარხვაცა, რალა ბევრი მოგიცდია, და ცოტაც მოიცადე.

ბარბარე. რალა ცოტა, მეც მოთმინებისაგან გამოველ მეორეც ესა, რომ ქორფა შვლები კარში მყვანან, შიშისგამო ხბოსავით ბლავიან კარში, და რალა უნდა მოგიცადო, მეც ჩემი სახლი ჩემთვს მინდა.

ოსანა. აი ეხლავ! ეხლავ, შენი ჭირიმე! (გოგოს გა! ძახებს. გოგო ჩქარა აქ მოდი).

გოგო. ქალბატონო რა გნებამდათ.

თარგმანი. წადი ჩემ მაზლითან უთხარი, რომ ჩემი დედიდა მომკვდარა, უთხარი ჩქარა მოვიდეს, რომ დავმარხოთ. (გოგო თავს დაუკრავს, წავა და ყველა ნათესაობას შეატყობინებს შუადღის ორ საათზედ ჯგუფად მიცვალებულთან შეველ.ენ, ოსანას ჰკითხვენ, კუბო არა გაქვსთ, რომ შიგ ჩაასვენოთ?

ოსანა. რომ გვქონოდა, ამტენი ხანი მზათ იქნებოდა. არა გვაქვს და იმისათვს დაგიძახე.

ზურაბა. მაშ კარგი, მე წაველ და კუბოს გამოგიგზავნით. ამ დროს მუშა კუბოს მოიტანს, და მისატანსა სთხოვს ოსანას: ოსანა ერთ შაურს მისცემს. მუშა გადაატრიალებს და

ეტყვის: ქუჩ რას მაძლემ მოსატანს!·

ოსანა. მაშ მეტი რაგინდა.

მუშა. ქუჩ ორ შაურას გაგირიგდი, და შენ მაურას მაძლევ! რაფაი პატიოსნობაა!.

ოსანა. მაინც მუშებმა სულ ეგრე იცით, აჰა ესეც შენი ორი შაური! მუშა კიდევ შედგება. სათქმელათ უნდა რამ და ვერ გაუბედნია.

ოსანა. ჰა, რაღასა სდგეხარ, რაღა გინდა, ხომ მოგეცი რაც გე გებოდა, წადი რაღა!.

მუშა. შენი თავის ჭირიმე! ცოტა ღვინო მასვი მესანდობარი.

ოსანა. მახლას, შენ სხუა რამესაც მოითხომ პატარახანაც, რომ დარჩეს წადი, წადი ჯერ მოტანილი არ არის·

მუშა ოჰ, რაფა უნობ, რაფა არ გექნებათ მოტანილი. აპა როდისღა.

ოსანა წადი კარგი შენი თავი არა მაქუს.

მუშა. წევალ მაშ აქან ხო არ დაგიდგები. საბრალო. მუშა ამ კმაყოფილებით ბურტყუნით წავა:

ოსანა. გოგოსა და მსუდრაფებს შეიყვანს და მიცვალებულს ჩაასვენებინებს კუბოში. რა მიცვალებულს კუბოში ჩაასვენებენ, დაკეტილ სკივრს ეცემიან გასტეხამს და იტყვის: აბა ახლა მაინც ენახო, რა დარჩენია! ახდის სკივრს, ნახამ, რომ ერთი ძველის კაპისა და ერთი ფირუზის ბეჭდის მეტს ვერას იპოვის· გაოცებით იტყვის ვაჲ, ეს რა არის! ვაჲ, ეს რასა ვხედამ!.

ბარბარე. მაშ რომ გეუბნებოდი, რა გეგონა. მაშ ოქრო-ები ხომ არ ექნებოდა დანჯღრეულ სკივრში.

ოსანა. ჰო, ჰო!. მაშ საქმე ესე ყოფილა!. მაშ ამაებს მაინც შევინახამ.

ოსანას ლაპარაკზედ ტერტერა შემოვა, და იტყვის: ჰა, აბა კოლოპურტი დარჩა რამე, თუ არა?

ოსანა. არა, არა. არა ფერი არ არის.

ტერტერა. ვა! რას ამბობ· მაშ არაფერია!..

ოსანა. ერთი ძველი კაბა არის.

ტერტერა. ვა! რას ამბობ. მაშ სხვა არა არისრა.

შემდეგ ცხედარს დამარხამენ და შინ მამინვე დაბრუნდებიან პურის საჭმელად: მანამ ამქარი შინ დაბრუნდებიან, მანამ დედიდა ქელეხისთვს სამ მანეთს მისცემს. უფალო მკითხველო აბა იფიქრეთ სამი მანეთის ქელეხი რა იქნებოდა. ჰო, იმას მოგახსენებდი: ერთი მანეთის ნამცხვარი, ერთი მანეთის თევზი, ხიზილალა და თუნგ ნახევარი ღვინო ეყიდნათ· რა ესენი მუშას მოუტანია ოსანას ბიჭისათვს უთქვამს: რაც ხორაგი დარჩეს სულთან წამოიღეო, აქ არაფერი გაუშვაო· ამ დროს ტერტერა და ამქარი ერთათ მოვლენ და ბარბარეს სახლში შევლენ პურის საჭმელად ბარბარე კარებითგან დაუტატანებს, აქ ნულარ მოდიხართ ჩემი სახლი ქელეხებს დაჩვეული არ არის და არც დავაჩვევ; აგერ მეორე სახლში შებძანდით· ფიცხლავ მეორე ოთახში შებრუნდებიან. აქ ბარბარეც შევა და ოსანას ეტ-

ყეის: ოსანა! ამოტენი ხალხი რომ ბრძანდებიან, ახლა როგორ არ გითხრა, აზათ პურის ჭამა არ უნდათ!

ოსანა. მაშ, მაშ ქა, როგორ არ უნდათ! აი ეხლავ, (ბიჭს გასძახებს) შენ, მიქელ აქ მოდი!

მიქელა. ქალბატონო რა გნებამდათ.

შენ წახეალ ჩუენ სახლში, ქოთანში კერძს ჩაასხამ და ჩქარა მოიტან.

რა ოსანა ბიჭს ეტყვის, ბიჭი გავა და ხალხი სიცილს დაიწყებენ. ამ დროს ბიჭი მოიტანს სამ გირევანქის ოდენს თევზს, ერთ გირევანქა ხიზილალას და ქვაბ ქოთანით წყალწყალა ლობიოს, ბარბარეს მიაწოდებს და ეტყვის: აი ეს ბლომათ არის სუყეელაფერი, რაც დარჩეს შეინახეთ, რომ დანარჩენი უკან წაიღო.

ბარბარე. ჰო კარგი, კარგი, რაც დარჩეს წაიღეთ (ამ დროს კიდევ ბიჭი შემოვა და წიგნს მიართმევს ბარბარეს; ბარბარე წიგნს ჩამოართმევს და წაიკითხამს.

უფალო მკითხველო, თუ მეტის ლაპარაკით თავი არ შეგაწყინეთ, წიგნში რაც ეწერა იმასაც მოგახსენებთ. ჰო აი რა მოეწერა მაზლსა: [ბარბარე გახსნის წიგნსა და კითხულობს.) თქუენო კეთილ-მობილებავ ბარბარე! თუ უკაცრავათ არ ეიყო და დაძმობა გწამდეს, ეს ხუთი თუნგი ღვინო, სამოცი მოთი, ხიზილალა და ჯონჯოლი მიიღეთ, და როგორც თქუენგან ვიცოდე, ისე გააპატიოსნე ეგ ხალხი. ამასაც მოგახსენებ ეგ ხორაგი ქელეხათ არ მიიღოთ,

და თქუენს პატივის ცემას, თუ შევიძლებ გადეიხდი, და თუ ვერ შევიძლებ, ღმერთი მაინც გადაგიხდის, ერთი ათასათ.

ბარბარე მხიარულის სახით მიიღებს, მადლობას ეტყვის, და ბიჭს გაისტუმრებს· ოსანა ამქარს უსადილოთ გაისტუმრებს. ამქარი დაღონებული და ბუტბუტით წავლენ. დანარჩენს პატიოსანს ხალხს სუფრას გაუშლიან, ოსანა დიდგულათ ბიჭს ეტყვის: აბა რაც სამზადისი იყო მოიტანე; ბიჭიცა მძალე თევზსა და ქოთანით წყალ-წყალა ლობიოს მოიტანს. ოსანა ბიჭს ეტყვის: აბა როგორც შენგან ვიცოდე, ეგ თევზი დასჭერი და ისე მარიფათით მიართვი, რომ არ უნდოდეთ მიირთვან.—ბიჭიც მალე თევზს დასჭრის, და სუფრაზედ მიიტანს. რა ხალხი დაინახავს რომ უარგისია, ხელს არ ახებენ· რაღა თავი შეგაწყინოთ. ერთი საათი ჩურჩული გაუმართნიათ. იცინიან და თან ოსანას აგონებენ. ოსანა ანბობდა სამზადისი სამზადისი და ეს არის ოსანას სამზადისი, რა ოსანაზედ ბარბარემ ამ ნაირს ლაპარაკს გაიგებს; გოგოს ეტყვის. დროა თურაშე გვაქვს გამოიტანე· საბედა სადილს გამოიტანს რა ხალხი სანოვაგეს დაინხამენ, შეატყობდა კაცი, რომ თითქოს რაღაც გეეხარდათ, სადილს გულიანათ მიირთმევენ. რა ოსანას თავში ღვინო შეუჯდა. ბარბარეს უთხრა. მე ასე მეგონა ჩემისთანა სადილი არ გექნებოდა და შენკი უფრო სამზადისი აკრგი გიქნია.

ბარბარე. ეჰ შენ სხვანაირათ ლაპარაკობ, მაგრამ მე ჩემ დღეში ეგრე უსინიდისოთ არ მიცხოვრია და არც ვიცხო-

ერებ, როგორც თქუენა. ოსანა. როგორ გეიცხოვრია?

ოსანა. ასე, რომ ამტენი ხალხი დაძახებული გყოლიათ სადილათ, და სადილათ კი არასა ფიქრობდით, ეგ როგორია, ამდენ ხალხს მაშ პურის ჭამა არ უნდოდათ!

ოსანამ სირცხვილისგამო თავი ჩაღუნა და ველარა სთქვა. ხალხი ხარხარს დაიწყებენ: ხა, ხა, ხა.

აი უფალო მკითხველო, რა ნაირათ გამდიდრებულა ლოტოს მიმყოლი, რომ უკანასკნელ დღისათვს, სამარხი არა ჰქონია. კარგი ოჯახის ქალი რა გზით სამადლოთ და ჩხუბით დაუმარხნიათ. აი ბოლოსაც რანაირათ ჰკიცხამენ და ლაპარაკობენ. უფალო მკითხველო! მე ჩემის მოკლეს ჭკუით ესე მესმის, რომ დაბალმა და შეუძლო ხალხმა ლოტოზედ ხელი რომ აიღონ და აღარ ითამაშონ, ის უკეთესია, რომ ჩუენ შემარცხვენლად ამისთანა უბედურობის ხმა არ დაიგდონ. მკითხველო! აი ხაქები და მოსაწონი ქალები ისინი არიან, რომელთაც ექესთ ქალთ ხელი აუღიათ ლოტოზედ და აღარა თამაშობენ. სწორეთ ესინი არიან საქებნი. ესეც უნდა მოგახსენოთ რაც აქამდისინ ის ექესნი ქალი ყოფილან ქრმების საყვარელნი, ეხლა ერთი ათასათ შეჰყვარებით ქრმებსა. ამასთინაეე, დილიდგან მოკიდებული მუალამის ათ საათამდინ ჩაუღუნიათ თავი და სხუას სახელფასო საქმეებს აკეთებენ. ასე, რომ არ შემარცხვეს. თვეში ორ თუმან ფულს იღებენ, ქრმებს აძლევენ თითონაც არა ხარჯამენ. ამასთანავე მშვიდი ცხოვრება, და ქრმების სიყვა-

რულს ნულარ იტყვით რა ნაირათ შეჰყვარებიათ რა ლოტოზედ ხელი აუღიათ. რასაკვირელია აგრეთვე ქრმებსაც თავიანთი ცოლები საყნოსელ ვარდათა ჰყავთ, რა კი ისე დამშვიდდნენ. უფალო მკითხველო, აბა გაჰამტყუეთ, რომელი სჯობია, რომ ლოტოში ფული წააგონ, ვისაც არ შეუძლიანთ, თუ ისა ჯობია, რომ ვისაც არ შეუძლიან და ლოტოში ფულები წააგონ და ბოლოს სიამოვნების მაგიერათ იჩხუბონ და მინ დალონებულნი მიეიდნენ, არა მგონია. ისა სჯობია, რომ თავად აზნაურთან და დიდ კაცის ცოლებთან თავი არ გამოიდონ და არ გაუამხანაგდნენ. ასე, რომ იმათი ბაძი დაბალ. ხალხს არ შეშვენის. და რაც უნდა თავი იჩინო დიდ კაცის ცოლებთან ვერაფრით ვერმოელენ. ტყუილათ ფულებსა ხარჯვენ, კამპანიას აკეთებენ დიდი კაცის ცოლებს ჰპატიჟობენ რაარის გაიცნონ. საწყლებს ჰგონიათ, რა კი დაბალი ხალხი, დიდ კაცის ცოლებთან დასხდებიან, ასე ჰგონიათ, დიდ კაცობა, და თავადობა ჩვენ მოგვეცვრისო. ამას კიარა ფიქრობენ, რომ არც ხარისხი მიეცვრით, და ტყვილათაც იმტენ ხარჯს აძლევენ თავიანთ ქრმებს. მე რომ ჰკუა დამიჯერონ ჩემისთანა დაბალმა ხალხმა, მე ურჩევ, რომ დიდ კაცის მიყოლა ჩვენი საქმე არ არის. ასე, რომ ერთ ყაფაზაში ორი ბულბული იყოს, და იმ ბულბულთან ერთი თავდიდი ბუ შევიდეს! აბა იფიქრეთ რა იქნება ის ბუი? პირველი, რომ ის ბულბულები შთამამელობით კარგნი არიან. მეორე ქსა რომ, როგორც ის ბულბულბი იჭიკჭიკებენ, ბუი რაც

უნდა ბევრი ხნის ნასწავლი იყოს, და ლაპარაკი იცოდეს, მაინც კიდევ ბულბულისთანა ჭიკჭიკს ვერ ისწავლის.

ამასთანავე რაც ასს წელიწადს დღეები აქვს დღეში ასს ჯერ, რომ იბანოს და ტანი ისუფთაოს, მაინც კიდევ ბულბულისთანა ვერ გახდება. ისე ჩვენ იმათი საკადრისი ლაპარაკი არ ვიცით. დი თუნდა დაბალმა ხალხმა ვიცოდეთ კიდეც როგორც ბუი ბულბულთან ვერ მოვა დაარ უხდება მასთან ბაასი და ადგომა ისე ჩვენ. მაგრამ კიდევ ჩვენი დაბალი ხალხი დიდ კაცს ეგლისებიან, დასაბოლოოთკი არა ფიქრობენ თუ რა უჯობთ. ხი ესა, როგორც მოსულიათ, მგონია იმათიც ნახონ ის დღეები.

ესე ჩემო ბატონო მკითხველო. ეს მოთხრობაები არის ჩვენ ქვეყანაში, და ეს შერცხვენა დაბალი ხალხისა.

კოსტ. ბერძენოვი.

1868 წლისა, დეკემბრის 20 დღესა.

თ. ზურაბ რატიშვლს.

შენ დაჰქადაგებ, შენთ ძმათ ყოველ დღე
რომე იცხოვრონ, ტკბილად, ძმურათა,
და ვინც არის მის წინა-აღმდეგი,
მარად უცქერი იმას მტრულათა.

შენ, ნუგეშსა, სცემ საწყალს, ღარიბსა,
შეელი დაჩაგრულს მარად გლეხკაცსა,
რომელსაც ხშირად რა გვერდს მოისომ,
ესაუბრები ვით ამხანაგსა.

ხედავ მესხელებს რა განშორებულს,
სისხლით და ხორცით ერთხელ მყოფთ ერთსა,
შენ გტკივა გული მათ დაცემისთჳს,
ცდილობ მათ ჩუენთან შეერთებასა.

შენ გიყუარს მოძმე შენი, ქართველი,
მისთჳს არ ზოგავ შენ არაფერსა,
თჳთ მე ვარ ძმაო ამის მნახველი,
ვით აწვდი მოძმეს შეწევნის ხელსა. —;
ზოგჯერ ხუმრობით, შენის სიცილით,
გაშლილ გულით რა მხიარულდები,

მაშინ რა გმზერ იმ მხიარულ ქცევით,
ნამდვილ ქართველი წარმომიდგები·

მიხარის ძმაო, რომ მას ალსრულებ,
რაცა ბრძენთაგან არის თქმულება,
კაცობრიობას რაც ალამაღლებს,
რაც არის კაცის დანიშნულება!...

ი. კერესელიძე.

1869 წ. მარტის 28.

ქ. ახალ-ციხეს·

**1 8 6 9 წლის**

„ცისკრის" დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ, გაგზავნით თუ გაუგზავნელად 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია მაშინვე აცნობოს რედაქციას, ამ ადრესით:

„ცისკრის" რედაქციაში ტფილისს.

дозволено цензурою. мая 15. 1869. რედ. ი. კერესელიძე.